ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 8 ივლისი, 2016 | №160 (7086) | ფასი: 50 თეთრი

## სააკაშვილს კიევში დაჯავშნილი ჯიპი მოჰპარეს

გვ.4



8 ივლისიდან

ლიზიკო ქავთარაძე

28 წელი გულაგში

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



# მურმან დუმბაძე: „ლევან ვარშალომიძეს ხალხი ტაშის გრიალით ხვდება“

გვ.3



## „ივანიშვილმა აჭარა ნაციონალებს გადააბარა“





მურმან დუმბაძე და მედეა ვასაძე ახალ პარტიას ქმნიან

გვ.6

## ვინ არიან „ქართული ოცნების“ ყველაზე მსხვილი შემომწირველები

გვ.4



## „ყველაფერი „OK“ იქნება“ — ასე უთხრა ჯონ კერიმ ქართველებს“

## „ქინძისხანი სააკაშვილი ქართველებს თავისი რეჟიმის დამხობას ვერ პატიობს“



გვ.5

## ირაკლი შიხიაშვილი: „ნაციონალებს დიდგორზე ყრილობას არ ჩავატარებინებ“

ვიქტორ დოლიძე: „ჯონ კერის წინასაარჩევნო გარემოსა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე ვესაუბრეთ“

გვ.4



## „საქართველოზე თავდასხმა ამერიკის ინტერესებზე ხელის აღმართვად ჩაითვლება“

გვ.2



რამაზ საყვარელიძე: „ქართულ-ამერიკულ მემორანდუმზე ხელმოწერით ბევრი რამ შეიცვალა“

გვ.7



ISSN 1987-9385

## ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში არეულობას რუსეთი აწყობს“

გვ.3



გოგი თოფაძე: „ჩვენ არ ვართ პრორუსული ძალა, გვაბრალებენ“

## გია ვოლსკი: „საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე ვეტოს დადება ქაოსს გამოიწვევს“

გვ.2



გვ.5



## ზვიად კვაჭანტირაძე არჩილ გეგეშიძეზე: „ეს იყო სუფთა ჟურნალისტური პროვოკაცია“

# „საქართველოზე თავდასხმა ამერიკის ინტერესებზე ხელის აღმართვად ჩაითვლება“

## რამაზ საყვარელიძე: „ქართულ-ამერიკულ მემორანდუმზე ხელმოწერით ბევრი რამ შეიცვალა“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აფასებს.

***– ბატონო რამაზ, რატომ ემთხვევა, რომ ყოველთვის არჩევნების წინ ჩამოდის ამერიკიდან მაღალი რანგის პირი? ჯონ ქერის ვიზიტი საზოგადოებამ ისე გაიგო, თითქოს მან ხელისუფლებას მითითებები მისცა არჩევნების წინ. ასეა?***

– როდესაც საუბრობთ საზოგადოებაზე, ალბათ, უფრო უნდა ვიგულისხმოთ პოლიტიკური წრეები. მათ ჰქონდათ ეს ინტერპრეტაცია, რომ ხელისუფლებას მისცა რაღაც რჩევები და ასე შემდეგ. ეს ინტერპრეტაცია ხშირია და ეს ისტორიის გავლენაა. გვახსოვს, რომ ბეიკერი ჩამოვიდა თავის დროზე შევარდნაძესთან ანალოგიური ამოცანით. ამჟამად ეს ანალოგია არ არის გამართლებული. მაშინ ვარდების რევოლუცია იყო დაწყებული, საქართველოს დესტაბილიზაციის საფრთხე ემუქრებოდა და ასე შემდეგ.

***– დღეს მსგავსი საფრთხეები არ არსებობს?***

– არა მგონია, დღეს ანალოგიური საფრთხეები იყოს და ამერიკისთვისაც არა მგონია, დღეს აქტუალური იყოს იგივე, რაც იყო შევარდნაძის პერიოდში.

***– დამთხვევებზე რას იტყოდით?***

– ეს ვიზიტი უფრო დაემთხვა ნატოს სამიტს. ერთხანს, როდესაც მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ნატო ვერ ახერხებს მაპის მიცემას, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შეიძლება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდა მოხერხდეს იმით, რომ თავის კალთა ამერიკამ გადააფაროს საქართველოს და ვინც საქართველოს დაემუქრება, ეს შეფასდეს ამერიკის მუქარად. სწორედ ასეთ ვარიანტზე იყო ლაპარაკი. რაღაც ანალოგიურია ამ ჩამოსვლაში ჩადებული.




***– ეს რაში დაინახეთ?***

– ისე გააძლიერა სამხედრო კავშირები ამ ჩამოსვლამ და იმდენად გაუსვა ხაზი აქ სამხედრო წვრთნების აუცილებლობას და იმ სამხედრო წვრთნების, სადაც ამერიკელი ჯარისკაცებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომ, პრაქტიკულად, გამოდის, საქართველოზე შესაძლო თავდასხმა ჩაითვლება ამერიკის სამხედრო ინტერესებზე ხელის აღმართვად, მით უმეტეს, თუკი აქ ამერიკელთა შეიარაღებული კონტინგენტი იქნება. აი, ეს სურათი მივიღეთ დღეისთვის.

***– ამბობენ, რომ ჯონ ქერის ჩამოსვლამ ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი.***

– ნაციონალებს ამით რა ხეირი აქვთ, არ ვიცი. ქართველი მოსახლეობისთვის არჩევნების გაყალბების პრობლემა ნაციონალებს უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა. ჯერჯერობით გაყალბების საკითხი არ დასმულა.

***– ეს საკითხი ნაკლებად აქტუალურია?***

– გაყალბების თაობაზე კითხვის ნიშნები არ გაჩენილა სახელისუფლებო პარტიასთან. ამ ეტაპზე ნატოს ხაზით ქართულ თემაში ცვლილებები ნაკლებადაა მოსალოდნელი. ასეთი პროცესის კომპენსაციისთვის ჩამოვიდა ქერი და საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა იმაში, რომ საქართველო დამოკიდებული არ იყოს მხოლოდ ნატოზე თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით.

***– ნატოსა და ევროკავშირის კუთხით არ შეიცვლება არაფერი?***

– უკვე შეიცვალა ძალიან ბევრი რამ. მემორანდუმზე ხელმოწერით, რაც გაკეთდა გუშინ, უკვე შეიცვალა ის, რომ საქართველო აღარ არის იმდენად მარტო სავარაუდო თავდასხმის შემთხვევაში, როგორც იყო აქამდე.

ჩვენ გვინდა არა ნატო და ევროკავშირი, არამედ გვჭირდება უსაფრთხოება! ის ნატო სახლში დასადგმელ სუვენირად ხომ არ გვინდა?! თუ უსაფრთხოებას რაიმე სხვა ფორმით მიიღებს საქართველო, მაშინ ნატოს აუცილებლობაც გვერდზე გადადის.

## გია ვოლსკი: „საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე ვეტოს დადება ქაოსს გამოიწვევს“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი უფასო სარეკლამო დროის განაწილებასთან დაკავშირებით კანონზე პრეზიდენტის ვეტოს არ ელოდება.

როგორც ვოლსკიმ საკითხის კომენტირებისას განმარტა, კანონზე ვეტოს დადების შემთხვევაში შესაძლოა ქაოსი შეიქმნას.

– მთავარი არის ის, რომ ყველას ჰგონია, არასაპარლამენტო ოპოზიციას ნაკლები დრო აქვს, ვიდრე იმ პარტიებს, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან. ეს ასე არ არის. სწორედაც სამართლიანად განაწილდა. სამართლიანი განაწილების საწინააღმდეგო განცხადებები კეთდება ხარატიშვილის, პაატა დავითაიას, ბაჩუკი ქარდავასა თუ ნინო ბურჯანაძის მიერ.

„ქართული ოცნება“ დაიშალა და მასში შემავალი პარტიებიც დამოუკიდებლად მონაწილეობენ არჩევნებში, ამ შემთხვევაში ოპოზიცია საკითხს აყენებს ისე, რომ ჩვენ ყველამ ერთად, კოალიციაში შემავალმა პარტიებმა გადაინაწილონ ერთი სუბიექტის კუთვნილი მთლიანი დრო. ეს სამართლიანი არ არის, გამოდის, რომ კოალიციის მონაწილე პარტიებზე უნდა გადანაწილდეს სიტყვაზე ერთი წუთი და ცალკე ერთი წუთი უნდა ჰქონდეს რომელიმე არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას. რომელი უფრო უსამართლოა? – განაცხადა გია ვოლსკიმ და დასძინა, რომ პრეზიდენტის ვეტოს არ ელოდება, რადგან ამაში სხვა საფრთხეც არის.

**გია ვოლსკი:**

– ვეტოს შემთხვევაში მთლიანად კანონი უქმდება, ეს კანონი სხვა მიმართულებებსაც ითვალისწინებს. მე ეჭვი დამებადა, რაღაცა სხვა მუხლებს ხომ არ ეწინააღმდეგებიან და ამიტომ უნდათ კანონის გაუქმება.

ეს ყველაფერი გამოიწვევს ქაოსს. რიგგარეშე სესია უნდა მოვიწვიოთ. უამრავმა ადამიანმა თავისი ცხოვრების საზაფხულო პერიოდი უკვე დაგეგმა. არ ვსაუბრობ პასუხისმგებლობაზე. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ყველას აქვს, მაგრამ მოგვიწოდებენ, რომ კანონი გავაუქმოთ, შევიკრიბოთ ახლიდან და დროის განაწილების თემას გადავხედოთ. მგონია, რომ ეს სამართლიანი არ არის, – განაცხადა ვოლსკიმ.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის თანახმად, უფასო სარეკლამო დროით ისარგებლებს არა მარტო ის პარტია, რომელიც კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის (ბლოკის) პირველი ნომერი იყო ან რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ხმების 4% ან მეტი მიიღო, არამედ ყველა პარტია, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს. შესაბამისად, იმ პარტიათა რაოდენობა იზრდება, რომელთაც საარჩევნოდ უფასო საეთერო დროის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ და ეს დრო ყველა ე.წ. კვალიფიციურ სუბიექტზე გადანაწილდება. ამასთანავე, პროექტით არ იზრდება მაუწყებლის მიერ გამოსაყოფი უფასო სარეკლამო დროის ხანგრძლივობა.

**ინტერპრესნიუსი**

## თინა ხიდაშელი: „საქართველო ვარშავიდან თავდაცვისუნარიანობის უფრო მეტი საშუალებით უნდა ჩამოვიდეს“




თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ნატოს სამიტზე დასასწრებად ვარშავაში უკვე გაემგზავრა. როგორც თინა ხიდაშელმა აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ვარშავიდან მეტი თავდაცვისუნარიანობის საშუალებებით ჩამოვიდეს.

**თინა ხიდაშელი:**

– ჩვენი მთავარი ამოცანა ამ ორი დღის განმავლობაში არის, ერთი მხრივ, რაც შეიძლება უფრო მეტად დავუახლოვოთ ჩვენი ქვეყანა ევროატლანტიკურ სივრცეს, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, ის არის, რომ ვარშავიდან უფრო მეტი თავდაცვისუნარიანობის საშუალებებით ჩამოვიდეს საქართველო, უფრო მეტად დაცული, უფრო მეტი შესაძლებლობით, უფრო მეტი ინსტრუმენტით, რომელიც ქვეყანას ცაშიც და ზღვაზეც, ხმელეთზეც დაიცავს და მის შეიარაღებულ ძალებს განსაკუთრებით მისცემს შეკავების, გამძლეობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების უფრო მეტ შესაძლებლობას, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით ბაქრაძე: „ვარშავის სამიტის შემდეგ საქართველო იქნება მეტად დაცული“



– ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ საქართველო იქნება მეტად დაცული, – განაცხადა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ.

მისი თქმით, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის აღიარებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მიზნები, სწორედ თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, არსებული ფორმატების გაძლიერებას და ახალი შესაძლებლობების გაჩენას ემსახურება.

– პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რათა მოემზადოს წევრობისთვის. ეს არის მნიშვნელოვანი გზავნილი, რომელიც პირველად დაფიქსირდება სამიტის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ პირველად განხორციელდება ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა სამიტის ფარგლებში, ამჯერად მინისტერიალის დონეზე და მნიშვნელოვანია, რომ პირველად სამიტის ფარგლებში გაკეთდება ერთობლივი განცხადება, რომელიც გამოეხმაურება ნატო-საქართველოს კომისიას. ეს იქნება ბევრად მოცულობითი დოკუმენტი. ასევე, რა თქმა უნდა, საქართველოს საკითხი, როგორც აქამდე იყო, აისახება საბოლოო კომუნიკეში, თუმცა იქნება დამოუკიდებელი დოკუმენტი, რომელიც ამ თანამშრომლობას, როგორც განსაკუთრებულ ფორმატს, გაუსვამს ხაზს, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით უსუფაშვილი: „მე ამერიკაში ვუსურვე „დემოკრატებს“ წარმატებები, ჯონ კერიმ კი საქართველოში „რესპუბლიკელებს“ გვისურვა წარმატებები“



– ჯონ კერისთან შეხვედრისას მე ამერიკაში ვუსურვე „დემოკრატებს“ წარმატებები, მან საქართველოში „რესპუბლიკელებს“ გვისურვა წარმატებები, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი ვარშავის სამიტის წინ.

**დავით უსუფაშვილი:**

– ეს არის კიდევ ერთი ხაზგასმა იმისა, რომ საქართველო და შეერთებული შტატები ვაღრმავებთ სტრატეგიულ პარტნიორობას. შეხვედრისას ვისაუბრეთ იმ დოკუმენტებზე, რომლებსაც გუშინ მოეწერა ხელი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს უსაფრთხოებას, თავდაცვისუნარიანობას, მოგვცემს საშუალებას უკეთ ჩავერთოთ საერთაშორისო პროცესებში, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოსთვის.

ვისაუბრეთ იმაზე, რომ ჩვენთვის, საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატების მხარდაჭერას ბევრი სხვა მიმართულებით, ეკონომიკის აღორძინების, დემოკრატიის განვითარების და ა.შ. მიმართულებით, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, სიმბოლურია, რომ ორივე ქვეყანაში სერიოზული პროცესები მიმდინარეობს, რადგან არჩევნებია.

– მე ამერიკაში ვუსურვე „დემოკრატებს“ წარმატებები, მან საქართველოში „რესპუბლიკელებს“ გვისურვა წარმატებები. შევთანხმდით იმაზე, რომ მომავალი არჩევნები საქართველოში უნდა შედგეს თავისუფალი პოლიტიკური გარემოს პირობებში და ამას შეერთებული შტატებიდან მიექცევა სათანადო ყურადღება, როგორც ყოველთვის იყო ეს, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

კითხვაზე, შეეხებოდა თუ არა შეხვედრაზე საუბარი მედიაში განვითარებულ მოვლენებს, უსუფაშვილმა უპასუხა, რომ „სტუმარს მისთვის რაიმე სხვა კონკრეტული საკითხი და თემა არ უთქვამს“.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მურმან დუმბაძე: „ლევან ვარშალომიძეს ხალხი ტაშის გრიალით ხვდება“

## „ივანიშვილმა აჭარა ნაციონალებს გადააბარა“

შორენა მარსაგიშვილი



დაკარგა თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ აჭარა, რომელი პარტიები გაურიგდნენ ივანიშვილს, რა კავშირშია ხაბაძის გადადგომა ვარშალომიძის დაბრუნებასთან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის ვიცესპიკერი **მურმან დუმბაძე** ესაუბრება.

***– 4 ივლისს საქართველოში დაბრუნდა აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაური ლევან ვარშალომიძე, 7 ივლისს კი თანამდებობა დატოვა აჭარის მთავრობის მოქმედმა მეთაურმა ხაბაძემ. ნაციონალები გამარჯვებას ზეიმობენ. რა კავშირი აქვს ამ გადადგომას ყოფილ ხელისუფლებასთან?***

– არჩილ ხაბაძის გადადგომა ლევან ვარშალომიძის დაბრუნებასთან კავშირში არ არის და ნაციონალები ტყუილად ნუ ზეიმობენ. ხაბაძის გადადგომა რამდენიმე თვის წინ გადაწყდა და ამაზე საქართველოს პარლამენტშიც საუბრობდნენ. ეს საკითხი ისე გადაწყვიტეს ივანიშვილმა და კვირიკაშვილმა, რომ ხაბაძისთვის არაფერი უკითხავთ, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

***– ხაბაძის აზრის გაუთვალისწინებლობაა თქვენთვის მიუღებელი?***

– ხაბაძე ამ თანამდებობაზე საერთოდ არ უნდა დაენიშნათ და ამას მე მისი დანიშვნის პირველივე დღეებიდან ვაპროტესტებ. ჩემთვის მიუღებელია ის ფორმა, რომლითაც თანამდებობებზე ადამიანების დანიშვნა ხდება. საქართველო 25 წელია, რაც დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ვერაფრით დავაღწიეთ თავი ავადსახსენებელ კომუნისტურ მემკვიდრეობას. ხაბაძის დანიშვნა და ახლა მისი გადაყენება არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ნიშნავდა ცეკას მდივანი აჭარის რეგიონში პირველ პირს.

არჩილ ხაბაძე ისე გადააყენეს თანამდებობიდან, რომ მოსახლეობისთვის მიზეზები არ უთქვამთ. თავად გადაყენებამდე ანგარიში წარადგინა, სადაც საუბრობდა, რომ ქვეყანამ და აჭარის რეგიონმა არნახულ წარმატებას მიაღწია ყველა მიმართულებით. ამ განცხადების ფონზე მან თანამდებობა დატოვა, რაც კითხვებს ბადებს. თუ ყველაფერი კარგად არის, მთავრობის მეთაური არ უნდა წავიდეს. კანონის თანახმად, მასთან ერთად აჭარის მთავრობაც გადადგა და ახლა უმაღლეს საბჭოს ახალი მთავრობის არჩევა მოუწევს.

***– დაახლოებით 2 კვირის წინ თქვენ გვითხარით, რომ ხაბაძე ჯერ იმიტომ არ მიდის, ახლის დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოში საჭირო ხმები არ აქვთო. მოაგვარეს ეს პრობლემა?***

– უმაღლესი საბჭოს წევრებზე პირდაპირ ნადირობა იყო გამოცხადებული. მათ პირადად შეხვდა პატარაძე. თავიდან გაუჭირდათ, ახლა საჭირო ხალხი მოაგროვეს და ხაბაძეც გადააყენეს. უახლოეს მომავალში რეგიონი ახალ მეთაურს მიიღებს, რომელიც პოლიტიკური ბიოგრაფიით არ გამოირჩევა. ის ყაზახეთში იყო ელჩი. სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილება მას არ აქვს, არც აჭარის რეგიონთან აქვს რაიმე ბმა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ასლან აბაშიძის დროს რიგითი პოლიციელი იყო.

ზურაბ პატარაძის მიმართ პიროვნულად პრეტენზიები არ მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ასეთ თანამდებობებზე ადამიანები გამარჯვებული კოალიციებიდან და პარტიებიდან უნდა ინიშნებოდნენ. დემოკრატიულ ქვეყნებში ასეა მიღებული. ჩვენ ნატოს სამიტებსა და ევროკავშირზე ვლაპარაკობთ და ამ დროს კომუნისტური მიდგომები ისევაა დარჩენილი.

***– ელჩობა არაა პატარა საქმე და არ იქნება საკმარისი ეს გამოცდილება?***

– თავად მას რომ ჰკითხო, კარგი მენეჯერია. რას ჰქვია კარგი მენეჯერია, ხალხო, აჭარის რეგიონზეა საუბარი, სასადილოზე ხომ არა? ამას რომ თავი დავანებოთ, ეს ადამიანი ინიშნება ცენტრიდან. კონკურენციის გარეშე დანიშნული ადამიანი ყოველთვის დამნიშვნელზე იქნება მიბმული და არა – ხალხზე. დარწმუნებული ვარ, პატარაძეს წარმოდგენაც კი არ აქვს, რა თანამდებობას იკავებს.

დიდი ხანია, ვითხოვ ხაბაძის გადადგომას, მაგრამ არჩევნებამდე 3 თვის ადრე ამის გაკეთება ჩემთვის მიუღებელია. 3 თვეში აჭარის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილებას მოიხსნის და მთავრობაც ავტომატურად გადადგება. 3 თვისთვის მოდის ახალი მთავრობა აჭარაში? ეს არის მასხრად აგდება. ერთადერთი, ვისი მისამართითაც ცოტა მოთმინებით შემეძლო საუბარი, პრემიერი კვირიკაშვილი იყო, მაგრამ მანაც გამაოგნა თავისი საქციელით – არჩევნებამდე 3 თვით ადრე მთავრობას არავინ ცვლის. აქ სხვა რაღაცაშია საქმე.



მურმან დუმბაძე და მედეა ვასაძე ახალ პარტიას ქმნიან

***– სხვა რაღაც რა შეიძლება იყოს?***

– ალბათ, მიხვდნენ, რომ არჩევნებზე ხაბაძესთან ერთად გამოსვლა „ქართულ ოცნებას“ შედეგს არ მოუტანდა.

***– თავად ხაბაძე ამბობს, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე შესაძლოა „ქართული ოცნების“ გუნდს ჩაუდგეს სათავეში.***

– ეს არის მორიგი ზღაპარი და სისულელე. სად გაგონილა, რომ გადაყენებული მთავრობის თავმჯდომარე საარჩევნოდ გუნდს უდგება სათავეში? ვინ დაიჯერებს, რომ გუნდის წევრობა მთავრობის თავმჯდომარეზე მაღალი თანამდებობაა? ხაბაძე ისევე გადააყენეს, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი. საქართველოს მოსახლეობამ დღემდე არ იცის, რა იყო ამის მიზეზი.

აჭარა არის რეგიონი, სადაც ნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ამ რეგიონს მთავრობის მეთაურად სჭირდება არა მენეჯერი, არამედ ლიდერი, რომელსაც გაჰყვებიან. პატარაძეს კი გუნდი არ ჰყავს და ძნელად წარმომიდგენია, როგორ შეძლებს ის რეგიონის მართვას.

ცარიელი ადგილი ბუნებაში არ არსებობს და ამიტომაც დაბრუნდა ვარშალომიძე. შემოვიდა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე, გააკეთა განცხადება, 3,5 წელია, აჭარა გაჩერებულია და ხელისუფლებამ ჩვენ მიერ დაწყებული პროექტებიც ვერ გააგრძელაო.

***– არჩილ ხაბაძემ რომ თქვა, 838 მილიონი დავხარჯეთ პროექტების განხორციელებაზეო, მოიტყუა?***

– არ უარვყოფ, რომ ეს თანხა მართლა დაიხარჯა რეგიონში, მაგრამ ამ ინვესტიციების 90% მოდის იმ ჰესებზე, რომელთა მშენებლობაც ნაციონალების დროს დაიწყო. „ქართული ოცნების“ პირობებში ახალი ინვესტიცია არ შემოსულა, იმიტომ, რომ ძალიან ლაყე მთავრობა აღმოჩნდა. ცენტრალური ხელისუფლებაც სუსტი იყო, რეგიონისაც და შედეგად მივიღეთ გაჩერებული აჭარა. საქართველო დღეს დაახლოებით ბრეჟნევის ხანაში ცხოვრობს.

***– რა განწყობაა?***

– ამ განწყობით გაოგნებული ვარ. დადის ეს ვარშალომიძე შეხვედრებზე და ხალხი მას ტაშის გრიალით ხვდება.

***– სად ხვდებიან ტაშის გრიალით?***

– ხულოში, მთიან აჭარასა და მუსლიმურ თემში იყო. ხალხი მას ყველგან ტაშის გრიალითა და ოვაციებით შეხვდა.

***– ასე მოენატრა ხალხს ნაციონალები?***

– ნაციონალები და ვარშალომიძე კი არ მოენატრათ, ეს ტაში იყო პროტესტის გამოხატულება არსებული ხელისუფლების მიმართ. ისე წავიდა ხაბაძე, მოსახლეობის წინაშე არსებული არცერთი პრობლემა არ მოუგვარებია. აჭარაში მიწის პრივატიზაცია დღემდე არ ჩატარებულა.

***– ვარშალომიძეს ტაშის გრიალით ხვდებიანო და ეს რას ნიშნავს, დაკარგა „ოცნებამ“ აჭარის რეგიონი?***

– ფაქტობრივად, დაკარგული აქვთ. არ არის გამორიცხული, რომ ივანიშვილი ნაციონალებს გაურიგდა და აჭარა მათ გადააბარა. არ გამოვრიცხავ, ერთ დღეს სააკაშვილიც ჩამოვიდეს, მასაც ტაშის გრიალით შეხვდება ხალხი.

***– დარწმუნებული ხართ, რომ სააკაშვილს ტაშის გრიალით შეხვდებიან?***

– დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ კარგად ვიცი ხალხის განწყობა. მას ტაშის გრიალით შეხვდებიან არა იმიტომ, რომ ძალიან უყვართ, არამედ იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ გამოხატავენ პროტესტს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მათ მომხრეებიც ბლომად ჰყავთ.

***– აჭარის გადაბარებაზე გარიგება ახსენეთ და თუ არის იმის ალბათობა, რომ ამ გარიგების გარეშე მოიგონ ნაციონალებმა აჭარაში არჩევნები?***

– ამის დიდი ალბათობა არსებობს. „ქართულმა ოცნებამ“ მისი ვერცერთი დაპირება ვერ შეასრულა და ხალხი ძალიან არის გამწარებული. ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნება დაუშვებელია, ისევე – როგორც „ქართული ოცნების“ დატოვება. ამიტომაც გადავწყვიტეთ მე და ჩემმა თანამოაზრეებმა პარტიის შექმნა.

მე მქონდა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გადავაკეთეთ პარტიად. ჩვენ უკვე დავიწყეთ მხარდამჭერებთან შეხვედრები და მათთან ერთად მოვახდენთ საარჩევნო სიის ფორმირებას.

***– თქვენ საპარლამენტო არჩევნებში გინდოდათ მონაწილეობის მიღება და მოასწრებს თქვენი პარტია ამისთვის მომზადებას?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი გეგმები შეიცვალოს და გუნდთან ერთად უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მივიღო მონაწილეობა. ამ ეტაპზე ეს უფრო მნიშვნელოვანია.

***– რატომ არის უფრო მნიშვნელოვანი?***

– მე მაქვს ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალები და ხელისუფლება გარიგებული არიან. ჩვენ ეს გარიგება უნდა ჩავშალოთ და არცერთი ეს ძალა აღარ მივუშვათ ძალაუფლებასთან.

***– სხვა პარტიები რას ამბობენ ამ შესაძლო გარიგებაზე და მათთან თუ გექნებათ თანამშრომლობა?***

– ისინიც ამ გარიგებაში მონაწილეობენ. ის ნაწილები, რომლებიც ნაციონალებს მოსწყდა, მომავალში ისევ მას დაუჭერენ მხარს, ხოლო სხვა პარტიები, რომლებიც ნაციონალებთან არ არიან, ყველა ჯიბეში ჰყავს ჩასმული ბიძინა ივანიშვილს.

***– რომელ პარტიებზე საუბრობთ?***

– ყველა იმ პარტიაზე, რომლებიც რეგიონში მოქმედებს. ავიღოთ დემოკრატიული საქართველო. მას ბათუმის საკრებულოში წარმომადგენელი ჰყავს, მაგრამ მისგან არცერთი ოპოზიციური განცხადება არავის მოუსმენია. იგივე შემიძლია გითხრათ პატრიოტთა ალიანსზე. რეგიონში ოპოზიციური პარტიები „ქართულ ოცნებას“ ჯიბეში უზის.

„ქართულ ოცნებასთან“ გარიგებული არიან თავისუფალი დემოკრატებიც და მათ ყველა გადაწყვეტილებას უჭერენ მხარს. ამ ნაყიდი პარტიის წევრების დახმარებით გაჰყავთ ახლა პატარაძე მთავრობის მეთაურად. თავიდან უარზე იყვნენ, მერე რაღაცას დაჰპირდნენ და დაითანხმეს. ერთადერთი, ვისი დათანხმებაც ვერ შეძლეს, ქალბატონი მედეა ვასაძეა. მინდა იცოდეს თქვენმა მკითხველმა, რომ პატარაძე მასაც შეხვდა და მხარდაჭერა სთხოვა. ქალბატონი მედეას თქმით, პატარაძე ზრდილობიანი ახალგაზრდაა, მაგრამ მხარს ვერ დაუჭერს.

***– მედეა ვასაძე თქვენთან ერთად იქნება პარტიაში?***

– დიახ, ჩვენ ერთად ვიქნებით პარტიაში.

## „კონსერვატორებმა“ არჩევნებში კენჭი, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ წარდგენით იყარონ

„კონსერვატიულმა პარტიამ“, როგორც დამოუკიდებელმა საარჩევნო სუბიექტმა, საპარლამენტო არჩევნებში, შესაძლოა, მონაწილეობა არ მიიღოს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, განიხილება „კონსერვატორთა“ არჩევნებში „ქართული ოცნების“ სიით კენჭისყრის საკითხი. ამასთან, პარლამენტში არსებული ინფორმაციით, დაგეგმილია რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატებად „ქართული ოცნების“ მიერ „კონსერვატორთა“ ლიდერების წარდგენა. საუბარია ზვიად ძიძიგურზე, გიგა ბუკიასა და პაატა კვიჟინაძეზე.

აღნიშნულს არც უარყოფს და არც ადასტურებს ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია. როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მიმდინარეობს კონსულტაციების პროცესი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის. ანალოგიურს აცხადებენ „ქართულ ოცნებაშიც“.

გარდა ამისა, „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ამ ორ პარტიას შორის მოლაპარაკებების ფარგლებში განხილვის საგანი იყო რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქთან დაკავშირებით იმგვარი შეთანხმება, რომ იქ, სადაც „კონსერვატორი“ მაჟორიტარობის კანდიდატები იყრიდნენ კენჭს, „ქართული ოცნება“ დეპუტატობის საკუთარ კანდიდატურას არ დაუპირისპირებდა, თუმცა ბოლო, არაოფიციალური ინფორმაციით, „კონსერვატორები“ არჩევნებში „ქართული ოცნების“ წარდგინებით იყრის კენჭს და პარტია დამოუკიდებელი საარჩევნო სუბიექტი არ იქნება.

ანალოგიური ფორმით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში შეიძლება ვიხილოთ „სოციალ-დემოკრატი“ გია ჟორჟოლიანი და „მწვანეთა პარტიის“ წარმომადგენელი გია გაჩეჩილაძე.

**ინტერპრესნიუსი**

## გოგი თოფაძე: „ჩვენ არ ვართ პრორუსული ძალა, გვაბრალებენ“

– ჩვენ გვაბრალებენ, რომ პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალა ვართ. ეს აბსურდია, – განაცხადა მრეწველთა პარტიის ლიდერმა გოგი თოფაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

**გოგი თოფაძე:**

– ჩვენ ნამდვილად მიგვაჩნია, რომ საქართველო მაშინ დადგება ძლიერი, როცა თავის ბედს თვითონ ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტს, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

მისივე თქმით, „25 წელია, რაც მრჩევლების ჩამოსვლამ, აბსტრაქტულმა შემოთავაზებებმა დაანგრია ჩვენი სოფელი, მრეწველობა და საერთოდ ეკონომიკა“.




– ჩვენ ვაცხადებთ ხმამაღლა, რომ რუსეთი აგრესიული მეზობელი გვყავს, ძალიან მძლავრი. მიმაჩნია, რომ რუსების ლანძღვა-გინებით და მუქარით ჩვენ ვერ მივაღწევთ, რაც ყველაზე დიდი პრობლემაა დღეს საქართველოში, ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. უფრო დიპლომატიურად, ცოტა მოვეფეროთ შეიძლება – რაც ხდება დიპლომატიაში. ჩვენ არავითარ შემთხვევაში პრორუსული ძალა არ ვართ, ჩვენ პროქართული ძალა ვართ, პატრიოტული სულისკვეთების გუნდი, – განაცხადა გოგი თოფაძემ და განმარტა, რომ, აღნიშნულის მიუხედავად, საჭიროა რუსეთთან მოლაპარაკებები.

გოგი თოფაძე ასევე გამოეხმაურა აშშ-ში საქართველოს ელჩის განცხადებას, რომლის თქმითაც, საქართველოს ხელისუფლებაში პრორუსული განწყობის პოლიტიკოსები არსებობენ.

– ვკითხოთ არჩილ გეგეშიძეს არიან თუ არა პროამერიკული ძალები საქართველოში, თუ ის ელჩად ზის ამერიკაში და არ იცის აქ რა ხდება და რამდენად ფინანსდება შეერთებული შტატებიდან არასამთავრობოები და ბევრი პოლიტიკური პარტია? უნდა იცოდეს ელჩმა, თუ არადა, ჩამოვიდეს საქართველოში. იმიტომ არ არის ის ელჩად გაგზავნილი, რომ ასეთი არაობიექტური განცხადებები გააკეთოს, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვიქტორ დოლიძე: „ჯონ კერის წინასაარჩევნო გარემოსა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე ვესაუბრეთ“

## „ის, რომ არჩილ გეგეშიძე კერის ვიზიტში არ მონაწილეობდა, სწორი არ იყო“

ნათია ხურცილავა



თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი ვიქტორ დოლიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ჯონ კერისთან** გამართულ შეხვედრაზე საუბრობს.

***– ბატონო ვიქტორ, შეხვედრა, რომელიც თქვენ ამერიკის სახელმწიფო მდივანთან გამართეთ, დახურული იყო. რა შეგიძლიათ გვითხრათ, რა საკითხები იქნა განხილული?***

– ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში პოზიტიური და მნიშვნელოვანი იყო. თავად დრო იყო მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდი და მეორე მხრივ – ნატოს ვარშავის სამიტი, რომელსაც თავად ბატონი კერი გახსნის. პრაქტიკულად, ვარშავის ნატოს სამიტის პარალელურად განხორციელდა სახელმწიფო მდივნის ვიზიტი საქართველოსა და უკრაინაში. ეს არის ძალიან მკაფიო სიგნალი ყველასთვის, ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილი ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

***– შეხვედრაზე თავისუფალმა დემოკრატებმა რაზე გაამახვილეთ ყურადღება?***

– ამ შეხვედრაზე ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი მოვიცავით და განვიხილეთ. ცხადია, წინასაარჩევნო გარემო და შიდა პოლიტიკური ვითარება, ასევე საუბარი იყო საერთაშორისო, საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და უსაფრთხოების საკითხებზე.

აშშ არის ჩვენი უპირველესი სტრატეგიული პარტნიორი. ის მხარდაჭერა, რომელიც ინტეგრაციის მიმართულებით არის, ასევე დემოკრატიული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ პროცესში ჩვენი პარტნიორის მხარდაჭერა.

თავისუფალი დემოკრატები გვერდს ვერ ავუვლიდით კაბელების თემას და ამ საკითხზე ვისაუბრეთ. ასევე ვისაუბრეთ მედიაპლურალიზმზე, თავისუფალი მედიის არსებობის მნიშვნელობაზე ჩვენს ქვეყანაში, რასაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დროს.

***– თუ იყო საუბარი იმ მთავარ მოთხოვნაზე, რომელიც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას უკავშირდება?***

– რასაკვირველია, იყო საუბარი ამ მიმართულებით. პრესკონფერენციაზე, რომელიც პრემიერთან ერთად ჩატარდა, ბატონმა კერიმ განაცხადა, რომ 8 ოქტომბრის არჩევნები იქნება ლაკმუსის ტესტი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს არჩევნები ჩვენ, როგორც სახელმწიფომ, მაღალ დონეზე, დემოკრატიის პრინციპების სრული დაცვით ჩავატაროთ.

ამ არჩევნებზე, მის დემოკრატიულად და თავისუფლად ჩატარებაზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, თუ რა მომავალი ექნება ჩვენს ქვეყანას და რა გზით ვირჩევთ განვითარებას. ბატონი კერი დაეთანხმა თავისუფალი დემოკრატების მიერ ინიცირებულ დეკლარაციას, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში სწორედ შეთანხმებულ ქცევის წესებს შეეხება. არჩევნებში მონაწილე მხარეები ფოკუსირებულნი უნდა ვიყოთ პროგრამებზე, ხედვებზე, მომავლის განვითარებაზე. სწორედ ეს უნდა შევთავაზოთ ამომრჩეველს და ამაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული.

***– თქვენ თქვით, რომ ჯონ კერის ეს ვიზიტი ძლიერი სიგნალი იყო. კონკრეტულად ვისთვის?***

– რა თქმა უნდა, ეს იყო ძლიერი სიგნალი და მკაფიო გზავნილი როგორც ქვეყნის შიგნით ჩვენი მოქალაქეებისთვის, ისე ქვეყნის გარეთ, ყველასთვის. ჩვენს შეხვედრაზე შევეხეთ ვარშავის ნატოს სამიტის თემას.

***– პრემიერმა განაცხადა, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ საქართველო უფრო მეტად იქნება დაცული. – მეტი თავდაცვა, მეტი უსაფრთხოება – ამბობს პრემიერი. რას უნდა ველოდოთ ვარშავის სამიტიდან?***

– ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ. პირველი, ჩვენ ვიცით ბუქარესტის სამიტიდან, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. მეორე, მეტი გაძლიერება, მეტი კომპონენტისა და ელემენტის შეტანა ჩვენს თავდაცვაში. მესამე, მონტენეგროს გაწევრიანება არის ჩვენთვის სიგნალი, რომ ღია კარის პოლიტიკა რჩება ძალაში.

***– ბატონო ვიქტორ, ამერიკაში საქართველოს ელჩ არჩილ გეგეშიძის განცხადებებს როგორ შეაფასებთ?***

– არჩილ გეგეშიძე არის მაღალკვალიფიციური დიპლომატი და სახელმწიფო მოხელე. მე დიდი ხანია ვიცნობ მას, წლების განმავლობაში მქონია ურთიერთობა და ვთანამშრომლობდი. მის კომპეტენციაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება. მე მაქვს ერთი შენიშვნა – ის, რომ არჩილ გეგეშიძე ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტში არ მონაწილეობდა, შეხვედრებს არ ესწრებოდა, არ იყო სწორი გადაწყვეტილება. ეს ძალიან ბევრ კითხვას ბადებს, ასევე ქმნის მრავალ უხერხულობას და ეს არ არის სწორი.

***– რა კუთხით?***

– ყველა კუთხით.

# „ყველაფერი „OK“ იქნება“ – ასე უთხრა ჯონ კერიმ ქართველებს“



რუსული გამოცემა „Независимая газета“ საქართველოში ჯონ კერის ვიზიტს ეხმაურება.

სტატიაში გადმოცემულია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ვიზიტის ამსახველი ფაქტები, საუბარია ამერიკული დიპლომატიური უწყების მეთაურის შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან (ავტორი – იური როქსი).

„ქართული მხარე ჯონ კერის ვიზიტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რაც, პრინციპში, გასაგებია – განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქართველოს უკვე დიდი ხანია მსოფლიოს მძიმეწონიანი პოლიტიკოსები არ სწვევიან“, – აღნიშნავს ავტორი და მიუთითებს, რომ მოლაპარაკებები ეხებოდა ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს, კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებას, საქართველოს ტერიტორიულ კონფლიქტებს, პროევროპულ ინტეგრაციას (ნატოსა და ევროკავშირისკენ სწრაფვას, ბუქარესტის სამიტის რეზოლუციას), დემოკრატიის განვითარებას და ა.შ. „გვერდზე რომ გადავდოთ განცხადებების დიპლომატიური პათოსი და კომპლიმენტები, მაშინ თბილისის მფარველი ვაშინგტონის ემისრის ჯონ კერის დაპირებების არსი მოკლე „ოკ“ იყო: ყველაფერი კარგად იქნება – ისე, როგორც ეს საქართველოს სურს... თუ თბილისი ოკეანის გაღმიდან და ევროპულ ცენტრებიდან მიცემულ რეკომენდაციებს შეასრულებსო. თავის მხრივ, საქართველოც ბეჯითად ცდილობს...“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

პუბლიკაციაში მოცემულია აგრეთვე რუსი პოლიტიკოსის, სახელმწიფო სათათბიროს წევრ ილია კოსტუნოვის კომენტარიც, რომელიც თბილისში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ჩარჩოებში იმყოფებოდა: „არცერთ ქვეყანას არავინ ავიწროებს დიალოგის გამართვის მხრივ, მაგრამ ჩვენ მაინც ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნეს მიღებული ანტირუსული გადაწყვეტილებები... ამასთან, რუსეთი დაინტერესებულია, რომ ყველა მეზობელი კონსტრუქციულად და მეგობრულად იყოს განწყობილი“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ოპოზიციასთან (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან) შეხვედრის დროს ჯონ კერის გაახსენეს „პოლიტიკური პატიმრები“ ანუ ნაციონალთა ის ლიდერები, რომლებიც ციხეში სხედან ჩადენილი დანაშაულის გამო (თუმცა თანაპარტიელები მათ უდანაშაულოდ მიიჩნევენ). ისაუბრეს აგრეთვე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შესახებაც.

პუბლიკაციის ავტორი გვერდს არ უვლის დიპლომატიურ ინციდენტსაც, რომელიც აშშ-ში საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძეს უკავშირდება: „ჯონ კერის თბილისში ჩამოსვლა ჩამოასწრო საქართველოს ელჩმა, რომელიც სამშობლოში ახსნა-განმარტებისთვის გამოიძახეს. როგორც ირკვევა, არჩილ გეგეშიძეს არაკორექტული განცხადება გაუკეთებია პრესაში და უთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში პრორუსული ძალები არიან და ეს პოლიტიკური ტოლერანტიზმისა და პლურალიზმის მანიშნებელიაო. რა ბედი ეწევა ელჩს, ჯერჯერობით არავინ იცის.

რუსულმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსმა“ გაავრცელა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელ კონსტანტინ კოსაჩევის კომენტარი თბილისში ჯონ კერის ვიზიტის თაობაზე. იგი განსაკუთრებით შეეხო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადებას საქართველოს პროდასავლური ინტეგრაციის შესახებ და აღნიშნა: „ჯონ კერის განცხადება არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ნატოსაკენ სწრაფვა გადამწყვეტ ბიძგს იღებს. პირველ რიგში იმიტომ, რომ თბილისის განზრახვას ევროპაში სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს და თუ საკითხი კენჭისყრაზე დადგება, სანქციებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ერთხმად მხარდაჭერა გამორიცხულია“. კონსტანტინ კოსაჩევის თქმით, საქართველოსა და უკრაინის პოტენციურ წევრობას ნატოში დასავლეთი სპეციალურად იყენებს რუსეთის გამაღიზიანებლად, „მაგრამ ალიანსში მათი გაწევრიანების მიზნით სერიოზული ნაბიჯის გადადგმას ნატოს წევრებიდან ბევრი ვერ გაბედავს“. გარდა ამისა, რუსი პოლიტიკოსის აზრით, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში, აშკარაა, რომ ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ „გაცივდა“.

კონსტანტინ კოსაჩევი ასევე ფიქრობს, რომ თბილისში ხელმოწერილი აშშ-საქართველოს მემორანდუმის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული მოლოდინი გადაჭარბებულია: „კი, რა თქმა უნდა, აშშ-ის აქტიურობა რუსეთის საზღვრებთან ჩვენს შეშფოთებას იწვევს, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ამერიკელები გაუაზრებლად იმოქმედებენ და ქართველებს ან უკრაინელებს იმას აღუთქვამენ, რისი გაკეთება და შესრულება არ შეუძლიათ“.

რუსი სენატორის აზრით, აშშ-საქართველოს მემორანდუმი ვაშინგტონს, პრინციპში, არაფერში არ ავალდებულებს: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ შეერთებული შტატები თავის თავზე აიღებს, ვთქვათ, საქართველოს მორიგი ავანტიურის უზრუნველყოფას – ისეთის, რომელიც 2008 წელს მოხდა, ან, ღმერთმა ნუ ქნას, უკრაინის შეტევას ყირიმზე, ეს თბილისისა და კიევის გადაჭარბებული თავდაჯერებულობა იქნებოდა. ასეთი მემორანდუმებით ამერიკა თავის ერთგულ პარტნიორებს შთააგონებს, რომ ისინი, ჰა-ჰა, თითქმის ნატოში ან მის კარებთან არიან. იცით, ეს რას მოგვაგონებს? ეგრეთ წოდებულ სამოქალაქო ქორწინებას: ქალი თვლის, რომ იგი გათხოვილია და ქმარი ჰყავს, მამაკაცი კი მიიჩნევს, რომ ცოლი ჰყავს და მაინც თავისუფალია. ვაშინგტონი ამ შემთხვევაში კაცის პოზიციით გამოდის...“, – აღნიშნა კონსტანტინ კოსაჩევმა.

* * *

ჯონ კერის საქართველოში ვიზიტი გაშუქდა აგრეთვე სხვა უცხოურ საინფორმაციო საშუალებებშიც: ბრიტანულმა „როიტერმა“ გამოაქვეყნა სტატია ინგლისური და რუსულენოვანი სათაურით „ჯონ კერი ყოფილ საბჭოთა საქართველოს აშშ-საგან სამხედრო დახმარებას ჰპირდება და გმობს „რუსულ ოკუპაციას“ (ავტორები – ლესლი რაფტონი და მარგარიტა ანთიძე); „ბი-ბი-სის“ რუსულმა სამსახურმა კი – „საქართველომ და აშშ-მ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაზე მოილაპარაკეს“ და ასე შემდეგ.

**ნიუსპრესი**

# სააკაშვილს კიევში დაჯავშნილი ჯიპი მოჰპარეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მორიგ შარში გაეხვია. მას კიევში ქართველი კანონიერი ქურდის მიერ კონტროლირებადმა დაჯგუფებამ ძვირადღირებული ავტომობილი მოჰპარა.

უკრაინული მედიის ცნობით, მოპარული მანქანა, დაჯავშნილი ტოიოტა ლენდ კრუიზერი, 6 მილიონ უკრაინული გრივნად ანუ 240.000 აშშ დოლარად არის შეფასებული.

შემთხვევა 6 ივლისს მოხდა.

ინციდენტს ვიქტორ იანუკოვიჩის მინისტრთა კაბინეტის წევრი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ელენა ლუკაში ფეისბუკზე გამოეხმაურა.

მისი თქმით, მანქანა იმ დროს მოიპარეს, როცა სააკაშვილი რეფორმირებული პოლიციის დღეს აღნიშნავდა.



– სააკაშვილს პოლიციის ერთი წლისთავი მიულოცეს. 6 ივლისს კიევში მას დაჯავშნილი ტოიოტა ლენდ კრუიზერი მოჰპარეს, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 6 მილიონი გრივნაა. გილოცავ, მიხო! შესანიშნავი რეფორმაა! მივესალმები თანამემამულე-რეფორმატორებს, – წერს ლუკაში.

ერთი შეხედვით, უცნაურია, როგორ მოჰპარეს სააკაშვილს საზეიმო ღონისძიებიდან მანქანა. უკრაინული მედიის განმარტებით, სააკაშვილი ამ მანქანით ქუჩებში გადაადგილებას ერიდებოდა. მას ხალხის გაღიზიანება არ სურდა და ამიტომაც ხალხში სხვა მანქანით ჩნდებოდა. ამჯერადაც ასე მოხდა. სააკაშვილმა დაჯავშნილი ჯიპი მოშორებით გააჩერებინა, ქალაქში კი შკოდათი გაისეირნა, რომელიც 12-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე გატაცებული მანქანა.

ავტომანქანის გატაცების ფაქტი დაადასტურეს უკრაინის გენერალურ პროკურატურაში. როგორც გამოცემა „სტრანა.უა“-ს პროკურატურაში სარწმუნო წყარომ განუცხადა, მიხეილ სააკაშვილს ავტომობილი დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფმა გაიტაცა, რომლის სათავეშიც კანონიერი ქურდი სერგეი ღლონტი, მეტსახელად გუგა დგას.

პროკურატურაში მიაჩნიათ, რომ ავტომანქანის გატაცება პირდაპირ კავშირში იყო გუშინ, 7 ივლისს, ჩანიშნულ სასამართლო პროცესთან.

სერგეი ღლონტი, იგივე გუგა, კიევის ერთ-ერთ იზოლატორში ზის და ექსტრადიციას ელოდება. 7 ივლისის სასამართლოზე სწორედ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

უკრაინული მედიის აზრით, ძვირადღირებული ავტომობილის გამტაცებლებს სურთ, რომ გარკვეული გარიგება შედგეს და მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ გუგა გათავისუფლდეს.

უკრაინული მედიის ცნობით, ქართველი კანონიერი ქურდი კიევის პოლიციამ მიმდინარე წლის 21 ივნისს დააკავა. მისი დაკავების საფუძველი კი უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადება გახდა.

უნგრელი სამართალდამცავების მტკიცებით, სერგეი ღლონტი უნგრულ მხარეს აშანტაჟებდა და ცდილობდა, ამ გზით მიეღო უნგრეთის მოქალაქეობა. კიევის სასამართლომ ამ ძალადობისთვის გუგას 40 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# ირაკლი შიხიაშვილი: „ნაციონალებს დიდგორზე ყრილობას არ ჩავატარებინებ“

## „ქინძისხანი სააკაშვილი ქართველებს თავისი რეჟიმის დამხობას ვერ პატიობს“

შორენა მარსაგიშვილი





ნაციონალურ მოძრაობაში ჯერ საბოლოოდ არა აქვთ გადაწყვეტილი, თუ სად გამართავენ პარტიულ ყრილობას. მიხეილ სააკაშვილს უნდა, რომ ეს ყრილობა დიდგორის ველზე გაიმართოს. მის გადაწყვეტილებას პარტიაშიც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა, არანაციონალები კი სულ გადაირივნენ.

დიდგორში ნაციონალების თავყრილობის იდეამ ყოფილი ნაციონალი ირაკლი შიხიაშვილიც კი გააცხარა. მისი განცხადებით, ნაციონალებს დიდგორზე მისვლის უფლება არ აქვთ. ის პირობას დებს, რომ ნაციონალებს დიდგორის ველზე არ გააჭაჭანებს.

თბილისის საკრებულოს ყოფილი თავკაცის აზრით, ყოფილმა ხელისუფლებამ დიდგორი იმიტომ შეარჩია, რომ კარგად იციან ქართველების ემოციურობის შესახებ.

– მინდა მოგახსენოთ, უცხო ქვეყნის მოქალაქე ქინძისხანი სააკაშვილი თავისი ქინძისხანუკებითა და ხანუმებით ოდესაში რას გეგმავს. ფაცებოოკზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობის ხროვა შეკრიბა სააკაშვილმა და გარკვეული დავალებები, სტრატეგიულ-ტაქტიკური გეგმები განიხილეს არჩევნებთან დაკავშირებით. მიზანი ამ შეკრების იმაში მდგომარეობდა, რომ მათი დიდგორი უნდა დაიწყოს თითქოს აჭარიდან და დიდგორზე უნდა ჩაატარონ ყრილობა, – განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე შიხიაშვილმა.

მისი განცხადებით, ნაციონალებისთვის დიდგორი მხოლოდ მინდორია. შიხიაშვილი იმ გვარებსაც ასახელებს, ვის ქვეშაც, მისი თქმით, დიდგორში მიწას ცეცხლი უნდა წაეკიდოს.

– დიდგორი მათთვის არის უბრალოდ მინდორი და ჩვენი ერისთვის დიდგორი არის უწმინდესი ადგილი, სადაც ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი საქართველოს გამარჯვებით დამთავრდა. კარგად დავფიქრდეთ და იცოდეს ყველამ – სააკაშვილი, ბოკერია, გოკა გაბაშვილი, ლევან რამიშვილი, გივი თარგამაძე – ის ადამიანები არიან, რომლებსაც დიდგორზე ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეთ. მათ უფლება არ აქვთ, ილაპარაკონ არც საქართველოს წარსულზე, არც აწმყოზე და არც მომავალზე. მათ უფლება არ აქვთ, ილაპარაკონ საქართველოს სახელმწიფოსა და ერის სახელით, – აღნიშნა თბილისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ.

შიხიაშვილი პირობას დებს, რომ ნაციონალებს დიდგორში ყრილობის ჩატარების უფლებას არ მისცემს.

– ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით, რომ დიდგორში ქინძისხანი ყრილობას ვერ ჩაატარებს. არავის მოვუწოდებ, უბრალოდ, ვამბობ, მე ავდივარ დიდგორში, როგორც ერთი რიგითი ქართველი, იმ ხეობის შვილი, ალგეთელი, იმიტომ, რომ დიდგორში ქართველმა ერმა არ უნდა დაუშვას საქართველოს დამარცხება. ქვეყნის დაშლა ვერ დაიწყება დიდგორიდან, – განაცხადა შიხიაშვილმა.

მისი თქმით, ნაციონალები დიდგორიდან აპირებენ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებას.

– ვერ პატიობს ქინძისხანი სააკაშვილი ქართველებს მისი რეჟიმის დამხობას და სამაგიეროს გადახდას აპირებს. ის არ იბრძვის მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლისთვის. მისი მთავარი მიზანია, რომ სახელმწიფო დაიშალოს. მათი ყოველი განცხადება აქეთკენ არის მიმართული, – აღნიშნა ყოფილმა ნაციონალმა.

# პაატა ზაქარეიშვილი: „საქართველო დაინტერესებულია, აფხაზეთში ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს“



– საქართველოს სახელმწიფო დაინტერესებულია, აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, – განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ სოხუმში არსებული დაძაბული ვითარების საკითხზე კომენტირებისას.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები ძალიან შემაშფოთებელია.

– სამწუხაროდ, დაპირისპირებული მხარეები არ ერიდებიან თავიანთი საქმეების მოგვარებას ძალისმიერი მეთოდების გარეშე, რაც შემაშფოთებელია. საქართველოს სახელმწიფო დაინტერესებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველა პრობლემა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით და გამორიცხული იყოს, როგორც ძალადობა, ასევე მსხვერპლი, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც 5 ივლისს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებიც დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრ ლეონიდ ძაპშბას გადადგომას მოითხოვდნენ, უწყების შტურმით აღება სცადეს, რის შემდეგაც სამინისტროს შენობას ცეცხლი წაუკიდეს.

ლეონიდ ძაპშბას უფლებამოსილება შეუჩერდა. გადადგომისთვის მზადყოფნა დააფიქსირა ე.წ. პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამაც.

აფხაზური ოპოზიცია ვადამდელი „საპრეზიდენტო“ არჩევნების თაობაზე დანიშნული რეფერენდუმის გადადებას მოითხოვდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი ქადაგიშვილი: „კახეთის გუბერნატორობის შეთავაზება არ მიმიღია“



არსებული ინფორმაციით, „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი ირაკლი ქადაგიშვილი შესაძლოა კახეთის გუბერნატორად დაინიშნოს.

„ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ქადაგიშვილი უშუალოდ აღნიშნულ შეთავაზებას უარყოფს, თუმცა ადასტურებს, რომ „სხვა საკითხებზე“ პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციები ჰქონდა.

– არ მიმიღია ასეთი შეთავაზება. პრემიერ-მინისტრთან პარტიის დატოვების შემდეგ, დაახლოებით 10 დღის წინ, კონსულტაციები მქონდა, თუმცა ამ თემაზე არა. კონსულტაციები მქონდა სხვა საკითხებზე. ჯერ ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა ქადაგიშვილმა და აღნიშნა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება, თუ სად გააგრძელებს საქმიანობას, საზოგადოებისთვის ცნობილი მოგვიანებით გახდება.

რაც შეეხება „თავისუფალი დემოკრატების“ დატოვებას, როგორც ქადაგიშვილმა აღნიშნა, ეს პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზვიად კვაჭანტირაძე არჩილ გეგეშიძეზე: „ეს იყო სუფთა ჟურნალისტური პროვოკაცია“



– არჩილ გეგეშიძის მიერ გაკეთებული განცხადება მოსასმენად მთლად სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ეს იყო სუფთა ჟურნალისტური პროვოკაცია, – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე.

კვაჭანტირაძის თქმით, არჩილ გეგეშიძის ელჩის თანამდებობაზე დარჩენის საკითხი საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასაწყვეტია. კითხვაზე, განიხილება თუ არა აშშ-ში საქართველოს ელჩად გეგეშიძის შემცვლელად დეპუტატ ჯაფარიძის კანდიდატურა, კვაჭანტირაძე ამბობს, რომ აღნიშნულზე მას პასუხი არ აქვს.

– ჯერ უნდა განიხილონ, რამდენად საგანგაშოა ბატონი გეგეშიძის კომენტარი. შეიძლება არც არაფერი მომხდარა. მხოლოდ ამის მერე შეიძლება დანარჩენზე საუბარი. რაც მე ვნახე მის განცხადებაში, მოსასმენად ეს მთლად სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ეს იყო სუფთა ჟურნალისტური პროვოკაცია, – აცხადებს ზვიად კვაჭანტირაძე.

აშშ-ში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ პრორუსული ძალები მმართველ გუნდში არიან, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებ პროცესზე არ მოქმედებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროპარლამენტის წევრები საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების მოწოდებით გამოდიან



ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრები საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების მოწოდებით გამოდიან.

ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ევროკავშირმა საქართველოს, უკრაინასა და კოსოვოს მოქალაქეების უვიზო რეჟიმი უნდა დაუწესოს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამივე ქვეყანამ ვიზალიბერალიზაციის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულების გზაზე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

– უვიზო რეჟიმის გამარტივება და ვიზალიბერალიზაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის, ასევე დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის არის ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, – ნათქვამია განცხადებაში.

ევროპარლამენტის ცნობით, კენჭისყრაში, რომელიც გუშინ საგარეო საქმეთა კომიტეტში გაიმართა, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესებას 43-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 5 წინააღმდეგი იყო, 3-მა თავი შეიკავა.

– ევროკავშირსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმი დაწესება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს მთავრობამ და საზოგადოებამ უდიდესი სამუშაო შეასრულეს და ახლა შედეგები უნდა დაინახონ. ვუსურვებ ქართველ ხალხს შემდგომ პროგრესს ევროინტეგრაციის გზაზე, – განაცხადა მომხსენებელმა საქართველოს საკითხზე ანდრეს მამიკინსმა.

ევროპარლამენტის ცნობით, საგარეო საქმეთა კომიტეტი ახლა თავის მოსაზრებებს ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომიტეტს გადასცემს, რომელიც საქართველოსთვის, უკრაინისა და კოსოვოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესებას ზაფხულის არდადეგების შემდეგ უყრის კენჭს.

**ინტერპრესნიუსი**

# ყვარელში, სავარაუდოდ, ცხოველისგან დაგლეჯილი ადამიანის ცხედარი იპოვეს

ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადამიანის ცხედარი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შილდის რწმუნებულმა ლევან ხუციშვილმა განუცხადა, ცხედარი, სავარაუდოდ, ცხოველისგანაა დაგლეჯილი.

– შილდის ერთ-ერთი მცხოვრები, თემურ ასაბაშვილი, 7 ივლისს, დაახლოებით 13:00 საათისთვის, სოკოს საკრეფად მიდიოდა და ტყეში ადამიანის ცხედრის ნარჩენებს წააწყდა. ამ დროისთვის არ არის დაზუსტებული, გარდაცვლილი ქალია თუ კაცი – ადგილზე უკვე რამდენიმე საათია ექსპერტები მუშაობენ. სავარაუდოდ, ცხედარი მტაცებელი ნადირისგან ან ძაღლებისგანაა დაგლეჯილი, – განაცხადა ლევან ხუციშვილმა.

მისივე ინფორმაციით, თემურ ასაბაშვილი, რომელმაც ცხედარი იპოვა, ამ წუთებში დაკითხვაზეა გადაყვანილი.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ვინ არიან „ქართული ოცნების“ ყველაზე მსხვილი შემომწირველები



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ 2016 წლის ივნისში „კახური ტრადიციული მეღვინეობისგან“ შემოწირულობის სახით 120 000 ლარი მიიღო, ხოლო ფიზიკური პირის გიორგი ჯაბიძისაგან – 55.000 ლარი.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ 2001 წელს დაფუძნდა. მისი დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ჩხაიძე, რომელიც ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრი და სოლისტია. ამ საწარმოს გარდა, ზურაბ ჩხაიძე სხვა არაერთი იურიდიული პირის მეწილე და ხელმძღვანელიც არის. კერძოდ, იგი გახლავთ შპს „არტ-რუსთავის“, შპს „აფიშას“, შპს „სერვის-ბარის“, შპს „ვარციხე გროუფ“-ის, აიპ „ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის“, აიპ „თამარ მეფის ფონდის“ დირექტორი, აიპ „ქართული ღვინისა“ და აიპ „ქართული ხმების“ გამგეობის წევრი; გარდა ამისა, იგი ფლობს წილებს საწარმოებში: შპს „ქართული სული“ (34 %); შპს „ასკანელი ძმები“ (25%); შპს „კიდობანი 2“ (14,4%); შპს „ზ.გ.გ.ლ კაპიტალი“ (25%); შპს „გროსს ტურ ჯორჯია“ (55%) და შპს „გრანდ ცენტრი 2014“ (50%).

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ბაზაში არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 სექტემბრის №1851-ე განკარგულებით შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ მთლიანად გათავისუფლდა 2013 წლის 27 ნოემბერს სახელმწიფო ქონების სააგენტოსთან 20 წლის ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

მთავრობის 2014 წლის 16 მაისის №878 განკარგულებით, იმავე შპს-ს სულ რაღაც 6500 ლარად პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონება – დუშეთის მუნიციპალიტეტში, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მე-19 კ.მ-ზე მდებარე 1929.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 71.63.59.107) და მასზე მდებარე 5 შენობა-ნაგებობა. ხელშეკრულების თანახმად, შპს-ს უნდა აეშენებინა ტურისტული მომსახურების კომპლექსი და განეხორციელებინა 1 მილიონი ლარის ოდენობით ინვესტიცია.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინებით აღნიშნულ ქონებას ყადაღა დაედო. 2015 წლის 11 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულების პირობები შეცვალა და ვალდებულებების შესრულების ვადის ათვლის თარიღად ქონებაზე დადებული ყადაღის მოხსნა განსაზღვრა. ამასთან, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ სრულად გათავისუფლდა ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებამდე სამომავლოდ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

საჯარო რეესტრის ბოლო ამონაწერით ირკვევა, რომ აღნიშნული ყადაღა ჯერჯერობით გაუქმებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის მიერ დადგენილი საინვესტიციო პირობები ძალაში არ შესულა, ხოლო შპს „კახურ ტრადიციულ მეღვინეობას“ პირგასამტეხლო არ ერიცხება.

რაც შეეხება ფიზიკური პირის გიორგი ჯაბიძის მიერ განხორციელებულ შეწირულობას, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ გიორგი ჯაბიძე ბიზნესმენია. იგი შპს „ფუნდაშენის“ დირექტორი და მეწილეა, ასევე ფლობს წილებს შპს „პალმასა“ და შპს „ტესტერში“. გარდა ამისა, იგი შპს „დამბას“ დირექტორი და 100%-იანი წილის მესაკუთრეცაა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მონაცემებით, შპს „დამბამ“ 2016 წლის მაისში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება საბავშვო ბაღების მშენებლობის შესახებ, რისთვისაც მას 1.078.270 ლარი უნდა გადაერიცხოს. იმავე შპს-მ 2016 წლის 5 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის მოწყობის სამუშაოების შესრულებაზე, რისთვისაც სახელშეკრულებო თანხამ 1.296.485 ლარი შეადგინა. დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან 2015 წლის 5 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით კი შპს „დამბამ“ 1.242.890 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის 15 ივლისამდე უნდა დაასრულოს.

2016 წლის აპრილში „ქართული ოცნების“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი ბიზნესმენი გიორგი ბურჭულაძე იყო, რომელიც მმართველ პოლიტიკურ პარტიას 50.000 ლარით დაეხმარა. გიორგი ბურჭულაძე შპს „ბბბ“-ს დირექტორია, ხოლო შპს „აგრო-ქართლში“, შპს „სტიმულსა“ და შპს „ივერიაში“ სხვადასხვა მოცულობის წილებს ფლობს.

მაისში ყველაზე დიდი ოდენობით შემოწირულობა ფიქსირდება ნანა ბუხრაშვილისა (58.000 ლარი) და ირაკლი ხიტირის (55.000 ლარი) მიერ.

ნანა ბუხრაშვილი შპს „ანანოს“, შპს „ქირონ +“-სა და შპს „N ქირონ +“-ის დირექტორი და მეწილეა.

ირაკლი ხიტირი ფლობს სხვადახვა ოდენობის წილებს შემდეგ საწარმოებში: შპს „ინტერ +“, შპს „საქართველოს მინერალური ქვები“, შპს „იმმო ჯგუფი“ და შპს „სამშენებლო მასალები“. აღსანიშნავია, რომ „იმმო ჯგუფის“ ერთ-ერთი პარტნიორია გია გეწაძე – საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ყოფილი მოადგილე, რომელიც 2015 წლის 2 თებერვლიდან უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილეა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# იციკ მოშე: „სახელმწიფო საქართველოში შემოსული თითოეული ტურისტის უსაფრთხოებისა და დაცულობის გარანტი უნდა გახდეს“

ბოლო წლებში საქართველოში ტურისტული ნაკადის მზარდ ტენდენციას სერვისის პრობლემებმა და ვიზიტორისადმი დამოკიდებულებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას. უდავოა, რომ ნაკადის ზრდა პირდაპირ უკავშირდება გარემოს, რომელსაც ვიზიტორებს მასპინძელი ქვეყანა სთავაზობს, თუმცა, როგორც განვითარებული ტურიზმის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, თითქმის ყოველთვის დღის წესრიგში, გარდა ფიზიკურისა, დგება ვიზიტორთა ფინანსური თუ სხვა სახის დაცვის ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. ამ მხრივ საქართველო, სავარაუდოდ, იმ ქვეყანათა რიგშია, რომელსაც, ჩანს, მართებს ვიზიტორთა დაცვის მექანიზმის ამოქმედება. მაგალითისთვის, ისრაელი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, საიდანაც შესამჩნევად გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა, თუმცა, თუ წინა წლებში ისრაელელი ტურისტები მხოლოდ ღირსშესანიშნაობების შესახებ ყვებოდნენ, ახლა უკვე მათგან სულ უფრო ხშირად მოისმენთ, როგორ მოატყუეს თბილისში ვალუტის კურსში ან ტაქსისტმა ათჯერ მეტი თანხა გამოსძალა. მსგავსი, ქვეყნის იმიჯის შემლახავი ქმედებების შესახებ მოგითხრობთ აგრეთვე არაერთი ვიზიტორი სხვა ქვეყნიდან.

აღნიშნული პრობლემა არახალია, თუმცა, წესისამებრ, ტურიზმის სფეროს განვითარებით დაინტერესებული ქვეყნისთვის ყოველთვის მთავარი საზრუნავია. ამ მხრივ გამორჩეულია რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის ისრაელის გამოცდილება, რომლის გაზიარების მიზნით, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატამ ჯერ კიდევ შარშან დაიწყო მასშტაბური კამპანია. ის მოიცავს, ერთი მხრივ, ისრაელში საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და გარემოს პოპულარიზაციას და, მეორე მხრივ, უკვე ადგილზე ზრუნვას ისრაელელ ტურისტებზე. შარშან და წელს საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატამ და ისრაელის სახლმა ებრაულ ენაზე გამოსცეს ორი წიგნი, რომლებიც მკითხველს საქართველოზე, როგორც ტურისტულ ქვეყანაზე მოუთხრობს, ისრაელში კი, სხვადასხვა საზოგადოებრივ ცენტრში, ამავე თემაზე ტარდება ლექციები. ისრაელელ ტურისტებთან შეხვედრები იმართება აგრეთვე თბილისში, ისრაელის სახლში.

საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტ იციკ მოშეს თქმით, ბიზნესპალატას არაერთი ვიზიტორისგან აქვს ინფორმაცია, რომ ისინი თაღლითობის მსხვერპლი გახდნენ. ერთ-ერთმა ტურისტმა კი ბინზესპალატას მიაწოდა ფოტო, რომელიც თბილისში ა.წ. 5 ივლისს კოტე აფხაზის ქუჩაზეა (ყოფ. ლესელიძის ქუჩა) გადაღებული. ფოტოზე ასახულია გადამცვლელი ვალუტის პუნქტი, რომელიც ტურისტებისგან დოლარს 2.03 ლარად შეისყიდის, მაშინ როცა ამ დღეს დოლარის ფასი 2.30 ლარი იყო (15% სხვაობა). ხშირია შემთხვევები, როცა უცხოელი ტურისტები ტაქსისტებთან ფასზე მოლაპარაკებას ადგილობრივ, გამვლელ მოქალაქეებს სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არაადეკვატურ, გაზრდილ თანხებს ახდევინებენ.



**იციკ მოშე:**

– ტურისტების მოტყუების ფაქტების გახშირება ცუდი ტენდენციაა და მის აღმოფხვრაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალია, თუ არადა, ქვეყანა, შესაძლოა, დარჩეს იმ ვიზიტორთა ანაბარად, რომელთაც მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში აინტერესებთ მოგზაურობა. ამიტომ, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, თუ საქართველო გაიზიარებს ისრაელის მდიდარ გამოცდილებას, რომელმაც ქვეყანა ტურისტულ ცენტრად აქცია. ვისურვებდი, რომ საქართველოს მთავრობამ წამოიწყოს მასშტაბური კამპანია, რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს ტურისტებისადმი კეთილგანწყობას.

იციკ მოშე დასძენს, რომ ეს კამპანია შეიძლება წარიმართოს, მაგალითად, სლოგანით „გაუღიმე ტურისტს“, თითოეული მოქალაქე კი გამოჩენილი გულისხმიერებისთვის (მაგალითად, დაკარგული ნივთის დაბრუნება ან გადაცემა სამართალდამცავებისთვის) წახალისდეს.

– თითოეულ მოქალაქეს სჭირდება სტიმული იმ საქმეში, რასაც ახალი ურთიერთობებისა თუ კულტურის დამკვიდრება ჰქვია; და თითოეულ ტურისტს სჭირდება უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდის შექმნა, რომელიც შემდეგ ქვეყანას ერთი ათად მოუბრუნდება, როგორც ფინანსურად, ისე იმიჯით საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, – ამბობს იციკ მოშე და მაგალითად მოჰყავს ისრაელი, რომელმაც, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტთა ყოველდღიური შეტევის ობიექტია, შეძლო გამხდარიყო ტურისტულად ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა და ეს მოახერხა ტურისტებისთვის სათანადო პირობების შექმნით.

– სასურველია, შეიქმნას სპეციალური პუნქტები, რომლებიც უკმაყოფილო ტურისტთა საჩივარს მოისმენენ და სწორი რეაგირება მოხდება, – აცხადებს იციკ მოშე და ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ პრობლემაზე, რომელიც უცხოელ ტურისტებს განსაკუთრებით დიდ ქალაქებში ხვდებათ. ესაა მოწყალების აგრესიულად მთხოვნელთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ქუჩებში ტურისტებს ხშირად უქმნიან დისკომფორტს, რაზეც, ბიზნესპალატის ხელმძღვანელის თქმით, შესაბამისმა უწყებებმა სათანადო რეაგირება უნდა მოახდინონ.

**მედიანიუსი**

# პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტზე ძებნილი პირი დააკავეს




შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გურჯაანის რაიონული სამმართველოს მიერ მიმდინარე წლის 15 მაისიდან პოლიციელზე თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ძარცვის ბრალდებით ძებნილი, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ომარ ც. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ომარ ც.-მ 2016 წლის 11 მაისს, ღამით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს სახაზო საპატრულო სამმართველოს მეორე განყოფილების პატრულ-ინსპექტორების მისამართით რამდენჯერმე გაისროლა, შემდეგ მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მოქალაქის კუთვნილ ავტომანქანას და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლისას დაზიანდა საპატრულო ეკიპაჟის ორი ავტომანქანა. პოლიციის არცერთი თანამშრომელი არ დაშავებულა.

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას 17 მასრა ამოიღეს. პოლიციამ ნაძარცვი ავტომანქანა გურჯაანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიტოვებული იპოვა.

შსს-ს ინფორმაციით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ომარ ც.-ს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითა და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# რაულ ხაჯიმბა გადადგომისთვის მზადყოფნას ადასტურებს



აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი რაულ ხაჯიმბა გადადგომის შესახებ მზადყოფნას ადასტურებს, თუკი, მისი თქმით, ამას ხალხი მოისურვებს. სააგენტო „სპუტნიკის“ ინფორმაციით, ამის შესახებ მან გუშინ, დე ფაქტო ხელისუფლების მხარდასაჭერ მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ჩვენ გადავდგით ეს ნაბიჯი ხალხის გასაერთიანებლად, რათა შეგვექმნა პირობები რეალური გადაწყვეტილებისთვის სახელმწიფოს მეთაურის ბედთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც არ იყო საჭირო. ახლა აყენებენ საკითხს, რომ საჭიროა რეფერენდუმის გაუქმება. რეფერენდუმი ჩატარდება. ვიმეორებ, თუკი თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ხაჯიმბამ დატოვოს თანამდებობა, მე დავთანხმდები. თუკი ასე არ იქნება, ბოლომდე ვიბრძოლებ ამ ნეგატივის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. მე ვერავინ შემაშინებს, – განაცხადა ხაჯიმბამ.

მისი აზრით, რეფერენდუმის ორგანიზატორები ამ რეფერენდუმის ჩაშლას თავიდანვე გეგმავდნენ. დე ფაქტო პრეზიდენტის მხარდასაჭერი აქცია ადმინისტრაციის შენობასთან გაიმართა, რომელშიც, სხვადასხვა მონაცემით, ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში არეულობას რუსეთი აწყობს“

გულიკო ბალაძე





სოხუმში ბოლო დღეებში სიტუაცია გართულდა. „ახალ თაობას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია ესაუბრება.

***– ბატონო ჯემალ, ხაჯიმბა დიდ გაჭირვებაშია. რას უკავშირდება სოხუმში დაწყებული არეულობა?***

– პროცესი ჯერ მიმდინარეობს. სოხუმში სროლებიც იყო, არავინ იცის, როგორი გაგრძელება იქნება. 10 ივლისს მათ დანიშნული აქვთ რეფერენდუმი. არეულობები უკავშირდება რეფერენდუმს, მაგრამ რეფერენდუმი კიდევ რასაც უკავშირდება, ის არის პრობლემა.

***– რას უკავშირდება?***

– მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ხაჯიმბა ხელისუფლებაში ძალით არის მოსული. ის რუსეთის მიერ არის ხელდასხმული. აფხაზი საზოგადოება ცდილობს, ამას არ შეურიგდეს. აქ უამრავი ქვედა დინებაა.

***– საპროტესტო მოძრაობას ვინ ლიდერობს, ანქვაბი თუ სხვა?***

– რუსეთი მართავს როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას. მას ყოველთვის აწყობს არეულობა, აწყობს სუსტი ლიდერი, რომ მას ყოველთვის თავს მოახვიოს თავისი ნება.

***– ვინ ახდენს იმ ხალხის ორგანიზებას?***

– ეს არის ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ ანქვაბს. ანქვაბი თითქოს პირადად არ მონაწილეობს ამაში, მაგრამ მისი გუნდი აკეთებს აქციების ორგანიზებას.

***– ანქვაბი განაწყენებული წავიდა. მას მხარდამჭერები ჰყავს და ნებისმიერ დროს შეუძლია, სიტუაცია აურიოს?***

– კი, რა თქმა უნდა, ანქვაბს შეუძლია, სიტუაცია აურიოს.

***– აფხაზეთის უმაღლესი საბჭო განცხადების გაკეთებას აპირებს?***

– აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ვაკვირდებით. განცხადებას ჯერჯერობით არ ვაკეთებთ.

***– რეალურად, რისი გარკვევა უნდა აფხაზ საზოგადოებას?***

– ჩვენთან რა პრობლემებია, კარგად მოგეხსენებათ, იქ კი სიტუაცია ბევრად უფრო მძიმე და რთულია. ერთადერთი, სადაც შეიძლება დასაქმდეს იქაური მოსახლეობა და ზედა ფენა, ხელისუფლებაა. ბრძოლა მიდის სკამებისთვის და არა სახელმწიფოს მშენებლობისთვის ან ეკონომიკის განვითარებისთვის.

***– ასეთი არეული სიტუაცია აფხაზეთში ვის აწყობს?***

– აფხაზეთში არეული სიტუაცია აწყობს ოკუპანტს. რუსეთი ახლა იქ არის „გამშველებლის“ როლში.

***– ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე თბილისში ჩამოსული რუსული დელეგაციის წევრებმა თავი იმართლეს, რა ოკუპაციაზეა საუბარი, 2008 წელს აფხაზებისა და ოსების უფლებებს ვიცავდითო.***

– ეს არის ცინიზმის უკიდურესი გამოვლინება, რაც მიუთითებს იმას, რომ რუსეთის დელეგაციამ ვერაფერი შეიგნო მსოფლიოს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციებიდან, განცხადებებიდან და გადაწყვეტილებებიდან.

თბილისში ჩატარებულ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე 57 ქვეყანა იყო წარმოდგენილი და 56-მა ქვეყანამ მას უთხრა, შენ ხარ ოკუპანტი და უნდა წახვიდე, ოკუპირებული გაქვს საქართველოს ტერიტორიები, შენი აღიარება უკან უნდა წაიღო და უნდა მოახდინო ამ ტერიტორიების დეოკუპაციაო. ამას ამბობს მთელი მსოფლიო. რუსეთი კი ერთსა და იმავეს იმეორებს.

# თავისუფალი დემოკრატების მაჟორიტარობის კანდიდატმა კანდიდატურა მოხსნა

თავისუფალი დემოკრატები
FREE DEMOCRATS

გიორგი ცხადიაშვილი პოლიტიკიდან მიდის. საინფორმაციო პორტალ „დიას“ (დია.გე) ინფორმაციით, ირაკლი ალასანიას გუნდი მან უკვე დატოვა და საპარლამენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. ცხადიაშვილი თავისუფალმა დემოკრატებმა ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ის არჩევნებში გამარჯვებას აანონსებდა, თუმცა 3 თვით ადრე არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაიფიქრა.

გიორგი ცხადიაშვილი პოლიტიკიდან წასვლის და მისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს, თუმცა თავისუფალი დემოკრატების მაჟორიტარი დეპუტატობის უკვე ყოფილმა კანდიდატმა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მანდატი უკვე დატოვა.

გიორგი ცხადიაშვილი თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად 16 მაისს გორში გამართულ ყრილობაზე დაასახელა. მის პოლიტიკიდან წასვლას არ ადასტურებს თავისუფალი დემოკრატების შიდა ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, თუმცა თამაზ შიოშვილი იმას არ უარყოფს, რომ ცხადიაშვილმა საკრებულო მართლაც დატოვა.

ის, რომ გიორგი ცხადიაშვილმა ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად ბრძოლა შეწყვიტა, უკვე იციან ხაშურში, თუმცა თავისუფალი დემოკრატების ახალი კანდიდატის ვინაობაზე ჯერჯერობით არავინ საუბრობს. „დიას“ წყაროზე დაყრდნობით, გიორგი ცხადიაშვილი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებზე უახლოეს მომავალში გააკეთებს განცხადებას.

**მედიანიუსი**

# მთავრობის ადმინისტრაციასთან უსახლკაროთა მხარდასაჭერი აქცია გაიმართა



მთავრობის ადმინისტრაციასთან უსახლკარო მოქალაქეთა მხარდასაჭერად „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ და ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ აქცია გაიმართა.

აქციაზე იპოთეკით დაზარალებული პირები იმყოფებოდნენ. აქციის მონაწილეთა ნაწილი ადმინისტრაციის ფოიეში შეიჭრა და მჯდომარე აქცია გამართა. ისინი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვდნენ. მოგვიანებით, აქციის მონაწილეთა ნაწილი მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილე ნათია მიქელაძეს შეხვდა. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელმა ლადო სადღობელაშვილმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ნათია მიქელაძესთან უსახლკაროთა პრობლემის საკითხზე გაფართოებულ ფორმატში შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

– მივიღეთ დაპირება, რომ მომდევნო ხუთშაბათამდე იქნება შეხვედრა უკვე ჯანდაცვის სამინისტროს, მერიის წარმომადგენლებთან ერთად და უფრო ფართოდ გავშლით თემას უსახლკაროთა შესახებ. ეს ძალიან აქტუალური თემაა. მეტად სავალალო შედეგია, დაახლოებით 3.000-ზე მეტი თბილისელი გვყავს აღრიცხული, უკვე გამოსახლებული და უსახლკაროდ დარჩენილი. 11 000 გამოსახლებულია 2012-დან 2015 წლამდე და 86 000 მოქალაქე ელოდება გამოსახლებას. ეს არის რეესტრის ციფრები. ამიტომ უნდა იქნეს მიღებული ორგანული კანონი ამის სარეგულაციოდ, შეიქმნას დეპარტამენტი ან არსებულ რომელიმე დეპარტამენტს დაევალოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება და უსახლკაროებს ეტაპობრივად გადაეცეთ ბინები, – განაცხადა ლადო სადღობელაშვილმა.

მისი თქმით, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციის მონაწილეები შიმშილობას დაიწყებენ.

– აქ უკვე არის საუბრები შიმშილობაზე და ნუ მიგვიყვანთ იმ დონეზე, რომ შიმშილობებითა და ასეთი ტიპის აქციებით ვიყოთ მოტივირებულები, – აღნიშნა ლადო სადღობელაშვილმა.

მისივე თქმით, მორიგ აქციას საქართველოს პარლამენტის შენობასთან და მთავრობის ადმინისტრაციასთან მომდევნო ხუთშაბათს გამართავენ.

„უმუშევართა კავშირი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ მათ მიერ ინიცირებული კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებას ითხოვენ. კანონპროექტი უსახლკარო პირებისთვის სტატუსის მინიჭებასა და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ სააგენტოში დეპარტამენტის შექმნას ითვალისწინებს, რომელიც უსახლკარო ადამიანებისთვის პრობლემის მოგვარების პროცესს მონიტორინგს გაუწევს.

**მედიანიუსი**

# აუდიტის სამსახურში რიმა ბერაძე გამოკითხეს



სახელმწიფო აუდიტის სამსახურში თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე გამოკითხეს.

საქმე ეხება აუდიტის სამსახურის მიერ შესაძლო დარღვევის შესახებ დაწყებულ მოკვლევას, რომელიც „სამართლიანი არჩევნების“ მიმართვის საფუძველზე დაიწყო. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, ღონისძიება, რომელიც რიმა ბერაძემ საქველმოქმედო ორგანიზაცია ‚ქართული ოცნება – ჯანმრთელ მომავალთან“ ერთად ჩაატარა, მოსყიდვის ნიშნებს შეიცავს. საუბარია აქციაზე, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლის 200-მდე პედაგოგს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა.

დაკითხვის შემდეგ რიმა ბერაძემ განაცხადა, რომ ყველა კითხვას გასცა პასუხი და დაამატა, რომ მას კანონი არ დაურღვევია.

მისი თქმით, ის ჩუღურეთის მაჟორიტარია და საკუთარ ამომრჩეველზე მზრუნველობა მისი პირდაპირი მოვალეობაა.

– მიმაჩნია, რომ გაკეთდება მოკვლევა და, კანონის შესაბამისად, მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება. მე გახლავართ ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატი და ჩემი პირდაპირი მოვალეობაა და საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მავალდებულებს, ვიზრუნო ადამიანებზე და ხელი შევუწყო მათ კეთილდღეობას. მიმაჩნია, რომ მე არ დამირღვევია კანონი, რადგან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩემ მიერ ანალოგიურად ძალიან ბევრი აქცია იქნა ჩატარებული და კვლავაც გავაგრძელებ სიკეთის კეთებას, – განაცხადა რიმა ბერაძემ.

თავის მხრივ, როგორც ჟურნალისტებს აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განუცხადა, რიმა ბერაძისგან მიიღეს ინფორმაცია და ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია საარჩევნო პერიოდში.

– რა ინფორმაციაც მივიღეთ, იქიდან გამომდინარე, აუცილებლად გვჭირდება გადამოწმება, ვისი ბრალეულობა შეიძლება იყოს, თუ არის ეს დარღვევა. დიახ, საარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანია მსგავსი ფაქტების გამოკვლევა, ღონისძიების დაგეგმვასა და გარემოებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხების დაზუსტება, – აღნიშნა ზურაბ აზნაურაშვილმა.

**მედიანიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# დიმიტრი პესკოვი: „კრემლი აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდება“



კრემლში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებიან და იმედოვნებენ, რომ არსებული პრობლემები საკონსტიტუციო გზით გადაწყდება. რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

– რა თქმა უნდა, ვითარება რჩება ყურადღების ცენტრში და კრემლში ყურადღებით ადევნებენ თვალს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენ გვსურს და გვინდა ვიხილოთ აფხაზეთი, როგორც სტაბილური, განვითარებადი სახელმწიფო, რომელიც ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, – განაცხადა პესკოვმა.

კითხვაზე, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი ეკონტაქტება თუ არა რუსეთის პრეზიდენტს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, პესკოვმა უპასუხა, რომ სურკოვი რუსეთის პრეზიდენტთან ყველა თემის შესახებ, რასაც თავად კურირებს, მუდმივ კონტაქტშია.

**ინტერპრესნიუსი**

# პოროშენკო: „ჩვენ ევროკავშირის გვჯერა“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას ევროკავშირის სჯერა.

– მიუხედავად ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებისა, უკრაინელთა 75% ევროკავშირში შესვლის მომხრეა. შარშან ამ დროს ევროკავშირში შესვლის მომხრეთა რაოდენობა 70%-ს შეადგენდა, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირის ნაკლოვანებები დღეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. მიუხედავად ამისა, უკრაინისთვის ევროინტეგრაციას ალტერნატივა არ გააჩნია.

– ჩვენს ხალხს კარგად ესმის, რომ ევროინტეგრაციის ალტერნატივა რუსეთში დაბრუნებაა! მოსკოვური უღლის ქვეშ 300 წელი ვიცხოვრეთ. იქ დაბრუნება არ გვსურს! ჩვენმა ხალხმა სისხლი დაღვარა მაიდანზე, სისხლს ღვრის დღესაც დონბასში, რათა რუსეთს თავი დავაღწიოთ! – თქვა პოროშენკომ.

# ტერეზა მეი — ახალი რკინის ლედი?



მას შემდეგ, რაც დევიდ ქემერონმა გადადგომის შესახებ გამოაცხადა, ბრიტანელი კონსერვატორები ახალ პრემიერს ირჩევენ.

პრაიმერიზის პირველ ტურში ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ამის შემდეგ ის გამოიკვეთა, როგორც რეალური პრეტენდენტი პრემიერის პოსტზე.

ტერეზა მეი 1956 წელს ისტბორნში დაიბადა, დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი, არის გეოგრაფიის ბაკალავრი, წლების განმავლობაში მუშაობდა ლონდონის ბანკებში.

მისი პოლიტიკური კარიერა 1992 წელს დაიწყო, როცა პარლამენტში კენჭი იყარა. დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. მეი დამარცხდა, თუმცა ამან მის საბრძოლო ჟინზე არ იმოქმედა.

– დავმარცხდი პირველ რაუნდში, მაგრამ ვიცოდი, რომ ბრძოლა წინაა და შემდგომი ბრძოლებისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდი, – აცხადებს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში მეი.

კარგა ხნის განმავლობაში მეის კონსერვატორთა ჩრდილოვან კაბინეტში მეორეხარისხოვანი თანამდებობები უკავია, შემდგომში თემთა პალატაში ირჩევენ. ეს უკვე პირველი სერიოზული წარმატებაა. მეი მხარს უჭერს ერაყში ინგლისის ჯარის შეყვანას. ის ნათლად იკვეთება, როგორც ენერგიული და ნიჭიერი პოლიტიკოსი.

2010 წლის არჩევნების შემდეგ მეი შს მინისტრი ხდება. ის ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტაში მტკიცედ დამკვიდრდა. ყველა ყურადღებას ამახვილებდა მის უმნიშვნელოვანეს თვისებაზე, პრინციპულობაზე – მეი ლაპარაკობდა და აკეთებდა არა იმას, რაც მოდაში იყო, არამედ იმას, რაც სწორად მიაჩნდა.

ბრიტანეთის შს მინისტრი წინააღმდეგი იყო როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევის ნებართვის დაშვების, ასევე სექსუალური უმცირესობისთვის უფლებების მიცემისა. მისმა სიტყვებმა, „განა ცისფერების უფლებების გარდა სხვა სერიოზული პრობლემები არ გვაქვს“, მსოფლიო რეზონანსი იქონია. ამიერიდან იწყება მისი უთანხმოება პრემიერ ქემერონთან, რომელიც სუპერ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგა. მიუხედავად ამისა, როგორც კი ბრიტანეთის ევროკავშირში ყოფნის საკითხი დადგა, მეიმ მხარი უყოყმანოდ ქემერონს დაუჭირა.

– ვიყავი და ვარ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის მომხრე. შექმნილ მდგომარეობაშიც მხარი დავუჭირე ქემერონს, რომელთანაც მანამდე არაერთი სერიოზული დისკუსია მქონდა, – აცხადებს მეი.

რეფერენდუმში ევროსკეპტიკოსებმა გაიმარჯვეს. ქემერონმაც თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ტერეზა მეი პრემიერობის მთავარი კანდიდატია. ზოგი ექსპერტი მას მარგარეტ ტეტჩერს ადარებს და ახალ „რკინის ლედის“ უწოდებს.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენად გამართლდება ეს შეფასება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# არგენტინაში ბოლო თეთრი დათვი დაიღუპა



არგენტინის ზოოპარკში თეთრი დათვი, სახელად არტურო, მოკვდა. ის იყო ბოლო თეთრი დათვი, რომელიც ამ ქვეყანაში ბინადრობდა.

ცხოველის სიკვდილის მიზეზი სიბერეა. ის 31 წლის იყო. არტუროს მსოფლიოში ყველაზე მოწყენილ დათვს უწოდებდნენ მას შემდეგ, რაც ვოლიერში მისი მეზობელი მოკვდა და ის მარტო დარჩა.

დათვი აშშ-ში დაიბადა. რვა წლის ასაკში ის არგენტინაში გადაიყვანეს. 2014 წელს გრინფისმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო არტუროს კანადაში გადაგზავნის მოთხოვნით ამ ინიციატივას მხარდაჭერა ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა გამოუცხადა, მაგრამ ვეტერინარებმა დაასკვნეს, რომ ცხოველი მეტად ბებერი იყო ამგვარი მოგზაურობისთვის.

ანდების ძირში განთავსებული ზოოპარკი ივნისში დამთვალიერებლებისთვის დაიხურა იმ მიზეზით, რომ იქ დეკემბრიდან მაისის ჩათვლით 64 ცხოველი დაიღუპა. მომხდარი ბაქტერიული ინფექციის აფეთქებითა და ზოოპარკის ცხოველების გადატვირთვით ახსნეს. ქალაქის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ზოოპარკის ნაკრძალად გადაქცევას აპირებენ და ცხოველებს უფრო კომფორტულ საცხოვრებელ პირობებში გადაიყვანენ.

# ცხოველთა დამცველები ესპანური ხარებისთვის გაშიშვლდნენ

ესპანეთის ქალაქ პამპლონაში აქტივისტებმა, რომლებიც ადგილობრივი ტრადიციის ენსიეროს (ქუჩებში ხარების ტრადიციული გარბენი) წინააღმდეგ გამოდიან, მთავარ მოედანზე ნახევრად შიშველი აქცია გამართეს, გადაისხეს სითხე, რომელიც სისხლს წააგავს.

ორგანიზაციის 75-მა წარმომადგენელმა, რომლებიც ცხოველთა უფლებების დაცვით არიან დაკავებულნი, თავზე დაიხურეს მუზარადები, რომლებზეც ხარის რქები იყო დამაგრებული, სხეულზე, რომელზეც მხოლოდ საცვლები ეცვათ, გადაისხეს სისხლის მსგავსი სითხე, ხოლო ჭურჭელზე, რომლებშიც სითხე იყო მოთავსებული, გაკეთებული იყო წარწერა: „პამპლონა: ხარების სისხლიანი სასაკლაო“.

აღსანიშნავია, რომ პროტესტის მონაწილეთა შორის იყვნენ ესპანეთის, შვედეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები. ორგანიზაციის ხელმძღვანელის თქმით, ისინი ასეთი ხერხით ცდილობენ, საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ ამ დღესასწაულის სისასტიკეს. მან ასევე განაცხადა, რომ ყოველწლიურად ფესტივალს 50-მდე ხარი ეწირება.




# ყელსახვევი პაპარაცების წინააღმდეგ



ჰოლანდიელმა დიზაინერმა შექმნა ყელსახვევი, რომლის სინათლის ამრეკლი ნივთიერების წყალობით მისი მფლობელის სახის გარჩევა შეუძლებელი იქნება იმ ფოტოაპარატებით გადაღებულ ფოტოსურათებზე, რომლებიც განათების მოწყობილობებითაა აღჭურვილი. საიფა სიდიკის აქსესუარით უკვე შენიშნეს მსახიობი კემერონ დიასი, მომღერალი ნიკ ჯონასი და მაღალი წრის წვეულებების მუდმივი სტუმარი პერის ჰილტონი.

ყელსახვევები ონლაინგაყიდვებში უკვე გამოჩნდა და მისი ფასი 350-დან 710 დოლარამდეა.

ამ სიახლის გარდა, ნოვატორი დიზაინერი ცნობილ პერსონებს სთავაზობს კეისებს სმარტფონებისთვის, ხოლო მის უახლოეს გეგმებშია სინათლის ამრეკლი ტანსაცმლის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ პაპარაცები ჯერჯერობით ამ სიახლის გამო არ წუხან.

– ის დღე, როდესაც ვარსკვლავები საზოგადოებას დაემალებიან და სულელური სინათლის ამკრძალავი ყელსახვევებით დაიწყებენ სიარულს, მათი კარიერის დასასრულის დასაწყისი გახდება და არა ჩემი, – განაცხადა სიდნეელმა რეპორტიორმა ჯეიმი ფოსეტმა.

# ბრიტანულმა წყვილმა ღამე ეიფელის კოშკზე გაატარა

ბრიტანულმა ოჯახმა ღამე გაატარა აპარტამენტებში, რომელიც პარიზში ეიფელის კოშკზეა განთავსებული.

მიშელ სტივენსონმა ტურისტული სერვისის კონკურსი მოიგო. კომპანიამ პირველი სართულის ნაწილი აპარტამენტებად აქცია, რომლის ფანჯრებიდან საფრანგეთის დედაქალაქის პანორამული ხედი იშლება.

სტივენსონის თქმით, მან კონკურსში მონაწილეობა აუტიზმით დაავადებული შვილების გულისთვის გადაწყვიტა. როგორც ბრიტანელმა ქალბატონმა განმარტა, მის შვილებში აღფრთოვანებას იწვევს ეიფელის კოშკი, მისი სტრუქტურა და განათება.

კონკურსის სხვა გამარჯვებულების შესახებ არაფერია ცნობილი. ტურისტული სერვისი კომპანიის ხელმძღვანელმა ბრაიან შარლიზმა კი აქციას „უპრეცედენტო“ უწოდა და განმარტა, რომ აპარტამენტებში „ყველაზე ელიტური მოგონებები“ გარანტირებულია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● მათ საყურადღებოდ, ვინც ბინებს იშენებს: მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ძირზე გადააკვრევინეთ (თქვენც შეძლებთ!) პატენტირებული ფოლადის გარსაცმი და ჩარჩო აღარასდროს შემოგემტვრევათ ფეხქვეშ. ნიმუში იხილეთ და შეიძინეთ გურამიშვილის გამზირის 31-ში, სანტექნიკის მაღაზიაში. ფასი 10 ლარი. ტელ: 599-94-51-82.

## მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# მესი სასჯელის გასაჩივრებას აპირებს



სადღეისოდ მსოფლიო ფეხბურთში მთავარი ამბავი ლიონელ მესისთვის 21-თვიანი პატიმრობის მისჯის საკითხია. ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, მოუწევთ თუ არა არგენტინელსა და მის მამას სასჯელის ციხეში მოხდა.

ესპანური მედიის ცნობით, ამის ნაკლები შანსია, რასაც 2 მიზეზი აქვს: პირველი მიზეზი ისაა, რომ მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს.

მეორე: ესპანური კანონმდებლობით, ადამიანი, შესაძლოა, ციხეს ასცდეს, თუ მისი საპატიმრო სასჯელი 24 თვეზე ნაკლებია, მას კრიმინალური წარსული არ აქვს და ზიანს აანაზღაურებს. მესი და მისი მამა სამივე ამ მოთხოვნას აკმაყოფილებენ, თუმცა, ესპანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, მსგავს შემთხვევებში საპატიმრო სასჯელზე როგორც უარის თქმის, ასევე მისი გამოყენების პრეცედენტები არსებობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მესის თავისუფლება გარანტირებული ჯერ კიდევ არ აქვს.

ცხადია, მესის ადვოკატები გადაწყვეტილებას ესპანეთის უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ადვოკატების აზრით, შესაძლებელია სასჯელი სიმბოლურად მივიჩნიოთ, რადგან მესის თითო ეპიზოდში მხოლოდ 7-თვიანი პატიმრობა შეუფარდეს. მან საგადასახადო დავალიანება უკვე დაფარა და მათი საჩივრის დაკმაყოფილების მაღალი შანსი არსებობს.

# ხინჩეგაშვილი და პეტრიაშვილი — მსოფლიო რეიტინგის უცვლელი ლიდერები



მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს განახლებულ რეიტინგში 57 კგ-ში კვლავ პირველ ადგილზე იმყოფება, საქართველოს 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენი 9 თვის განმავლობაში ლიდერობას არავის უთმობს, 125 კგ-ში პირველ ადგილს ინარჩუნებს მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილიც.

შეგახსენებთ, რომ 11-12 ივნისს ლოს-ანჯელესში გამართულ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ქართველმა რეიტინგის ლიდერებმა კი 4-4 შეხვედრა გამართეს და ყველაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს რამაც ივლისის რეიტინგში მათი პირველი ადგილები განამტკიცა.

ხინჩეგაშვილი რეიტინგის სათავეში წინა წლის სექტემბერში ლასვეგასში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ მოექცა, სადაც ირანელი მსოფლიო ჩემპიონი ხასან რახიმი, რომელიც რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს, ბოლო წამებზე დაამარცხა.

გენო პეტრიაშვილი კი მიმდინარე წლის მარტში რიგაში ევროპის ჩემპიონატზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ გალიდერდა, სადაც პირველივე შეხვედრაში დაამარცხა მაშინდელი რეიტინგის ლიდერი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონა ტახა აკგული. თურქი ამჟამად რეიტინგში მეოთხე ადგილზე იმყოფება, მეორეზე რუსი ბილიალ მახოვი პოლონეთში ციალკოვსკის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ გადავიდა სადაც ოლიმპიური საგზურისათვის ბრძოლაში ლეგენდარული ხაჯიმურად გაცალოვი დაამარცხა, მესამე ადგილზე ირანელი პავრიზ ხადი მოექცა, რომელმაც ცოტა ხნის წინ სომხეთში სარგსიანის თასზე გაიმარჯვა.

# არგენტინას დროებით ოლარტიკოეჩეა გაწვრთნის



ხერარდო მარტინოს გადადგომის შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ არგენტინის ოლიმპიური ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხულიო ოლარტიკოეჩეა დანიშნა. ამ ინფორმაციას არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის ვებგვერდი ავრცელებს.

57 წლის სპეციალისტი ნაკრებს რიოს 2016 წლის ოლიმპიადაზე ხერარდო მარტინოს ნაცვლად წაიყვანს, რომელმაც პოსტი კოპა ამერიკა 2016-ის შემდეგ დატოვა.

ხულიო ოლარტიკოეჩეამ არგენტინის ნაკრების მაისურით მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატი მოიგო. სამწვრთნელო კარიერა კი დიდად საინტერესო არ აქვს — მას აქამდე ქვეყნის ახალგაზრდული და ქალთა ნაკრებები გაუწვრთნია. თუმცა, ფორსმაჟორულ სიტუაციაში არგენტინის ფეხბურთის მესვეურებს სხვა გზა არ ჰქონდათ დარჩენილი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**6 ივლისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

პორტუგალია-უელსი ...................... 2:0

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლინკოლნი-ფლორა ........................ 2:0

**უეფას ევროპის ლიგა**

ინფონენტი-ჰართსი ....................... 2:4

# პორტუგალია ფინალშია, რონალდუ პლატინის დაეწია

**პორტუგალია-უელსი 2:0**

**ლიონი. სტად დე ლიონი**

**1:0 რონალდუ (50), 2:0 ნანი (53)**

**პორტუგალია:** რუი პატრისიუ, სედრიკი, რიკარდუ ბრუნო ალვეში, ფონტე, რაფაელი, დანილო, ჟოაო მარიო, ადრიენ სილვა (მოუტინიუ 79), რენატო სანჩესი (ანდრე გომეში 74), ნანი (კვარეჟმა 86), რონალდუ

**უელსი:** ჰენესი, ჩესტერი, ე.ვილიამსი, კოლინზი (ჯ.ვილიამსი 66), განტერი, ტეილორი, კინგი, ალენი, ლედლი (ვოუქსი 58), ბეილი, რობსონ-კანუ (ჩარჩი 63)



პორტუგალია პირველი ფინალისტია. არადა, არც პორტუგალიელები და არც უელსები ამ ტურნირის ფავორიტებად არ მოიაზრებოდნენ. და მაინც, პირველი ფინალის საგზური სწორედ ამ ორმა გუნდმა გაითამაშა.

6 ცდა დასჭირდა ფერნანდუ სანტუშის გუნდს, რათა პირველი მატჩი მოეგო ძირითად დროში. ევრობრაზილიელებმა ეს ყველაზე საჭირო დროს მოახერხეს. კრიშტიანუ რონალდუსა და გარეთ ბეილის დუელი წინა პლანზე იდგა. შესვენებამდე ყველაფერში თანაფარდობა იყო. ისე ჩანდა, რომ პორტუგალია კიდევ ერთ მატჩს ითამაშებდა დამატებით დროში, მაგრამ ყველაფერი მეორე ტაიმში შეიცვალა.

შესვენების შემდეგ პორტუგალიელებმა მალევე გადაწყვიტეს მატჩის ბედი. ჯერ კრიშტიანუ რონალდუმ გაიტანა თავით, შემდეგ კი პორტუგალიელთა კაპიტანი თითქოს კარში სუსტად ურტყამდა, მაგრამ ბურთს გზად მიმართულება ნანიმ შეუცვალა და მატჩში ინტრიგა მოკლა.

უელსელები გამთანაბრებლებს არ ჰგავდნენ, მით უფრო, რომ არ ჰყავდათ აარონ რემზი, რომელიც ბურთს სახიფათო წერტილამდე მიიტანდა. ვერც დაცვაში გამოიყურებოდნენ დალაგებულად და სანტუშის შეგირდებს კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდათ.

საბოლოოდ, პორტუგალიამ მოიგო და მეორედ გავიდა ფინალში. ამჯერად არაფავორიტის რანგში, თუმცა ეს, შესაძლოა, მისთვის კარგიც აღმოჩნდეს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — კრიშტიანუ რონალდუ**

კაპიტანს პირველ ტაიმში ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მეორე 45 წუთი დიდებულად ჩაატარა.

ამასთან, რონალდუმ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში რამდენიმე რეკორდი დაამყარა. კერძოდ, მან ფინალურ ეტაპზე მე-9 გოლის გატანა შეძლო და ამ მხრივ ფრანგ მიშელ პლატინის გაუთანაბრდა. ახლა პორტუგალიელ ვარსკვლავს ერთი გოლის გატანა სჭირდება, რომ ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი გახდეს. რონალდუმ ამ 9 ბურთის გატანა 2004, 2008, 2012 და 2016 წლებში მოახერხა.

გარდა ამისა, კრიშტიანუ პირველი ფეხბურთელია, რომელმაც მინიმუმ სამი გოლის გატანა ორ სხვადასხვა ჩემპიონატზე შეძლო. რონალდუმ ამის გაკეთება 2012 და 2016 წლებში მოახერხა. და კიდევ ერთი: 31 წლის ფეხბურთელი პირველია, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის სამ ნახევარფინალურ მატჩში მიუღია მონაწილეობა (2004, 2012 და 2016).

**ფერნანდუ სანტუში:**

– რთულ მატჩს ველოდი და ასეც აღმოჩნდა. თუმცა, შემდეგ ეტაპზე ხარისხიანი თამაშის წყალობით გავედით. 2 წლის წინ, როდესაც ნაკრების სათავეში „სტად დე ფრანსზე" პირველი შეხვედრა ჩავატარე, ჩემს მოთამაშეებს მიზნად დავუსახე: ჩვენ ევროპის პირველობის ფინალში გავალთ, რათა 2016 წლის 10 ივლისს ამ სტადიონზე დავბრუნდეთ. საბედნიეროდ, ყველაფერი ასე მოხდა.

**კრის კოულმენი:**

– გადამწყვეტი პირველი გოლი აღმოჩნდა. პირველი ტაიმი თანაბარი იყო, მაგრამ ჩვენი სათამაშო რიტმი ვერ ვიგრძენით და საკუთარი თამაში ვერ ვიპოვეთ. ჩვენთვის უფრო გახსნილად თამაში რთული იყო და ეს პორტუგალიის ნაკრების დამსახურებაა. 5 წუთი კონცენტრაცია დავკარგეთ და როდესაც პორტუგალიის ნაკრების დონის მეტოქესთან თავს ამის საშუალებას აძლევ, მაშინვე ისჯები. პორტუგალიის ნაკრებს ვულოცავ. იმედია, ფინალს მოიგებს. წარმოუდგენლად ამაყი ვარ ჩემი გუნდით, რომელმაც დაუჯერებელი რამ გააკეთა და საუცხოოდ თამაშობდა.

# კალათბურთელთა ბ ნაკრებმა ჩინეთში სამივე მატჩი წააგო



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ბოლო წლებში წარმატებებით რომ გვანებივრებს, ეს გამოცდილი მოთამაშეების ხარჯზე ხდება. საინტერესოა, 1-2 წელიწადში როგორია მათი მომდევნო თაობა. სამწუხაროდ, გასახარი არაფერია.

ეროვნული ნაკრების მსგავსად შეიქმნა ბ ნაკრები, რომელიც ჩინეთში იმყოფებოდა ტურნირზე. დავით უსტიაშვილისა და ირაკლი ხოსთარიას გაწვრთნილი გუნდი სამივე მატჩში უშანსოდ დამარცხდა.

პირველი შეხვედრა ჩვენებმა პოლონეთის ბ ნაკრებთან გამართეს და 51:87 დამარცხდნენ. პოლონელებთან წარმატებაზე ფიქრი ზედმეტი გახლდათ. სლავებმა მესამე პერიოდში დამაჯერებლად ითამაშეს და ქართველების წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხეს.

საქართველოს ნაკრებში 10-ქულიანი ბარიერი ჯინჭარაძემ, მათიაშვილმა და დვალიშვილმა დაძლიეს.

ტურნირზე ქართველების მორიგი მეტოქე რუმინეთის ეროვნული გუნდი იყო. მომავალი, 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთმა მასპინძელმა ჩვენებს 68:52 მოუგო.

პოლონელებთან განსხვავებით, რუმინეთთან ჩვენებმა შედარებით დალაგებულად ითამაშეს, თუმცა წარმატების მიღწევა ვერ მოახერხეს. გუნდმა პირველი პერიოდი 14:20 წააგო, დიდი შესვენებისთვის კი რუმინელებს 25:34 ჩამორჩებოდა.

მესამე პერიოდი ფრედ — 15:15 დასრულდა, ხოლო დასკვნით 10-წუთეულში ქართველებმა ვითარების გამოსწორება ვერ მოახერხეს და საბოლოოდ 16 ქულის სხვაობით — 52:68 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებში 12-12 ქულით ბექა ბექაური და კახაბერ ჯინჭარაძე გამოირჩნენ. ბექაურმა 10 მოხსნაც მიითვალა და ორმაგ დუბლს უწია.

ტურნირის დასკვნითი შეხვედრა ჩინეთთან დიდი სხვაობით — 72:110 დავთმეთ. ჩინელებს ქართველებამდე პოლონეთიც დამარცხებული ჰყავდა და რუმინეთიც. შესაბამისად, მასპინძლები ტურნირის ბოლო მატჩიც ფავორიტებად ითვლებოდნენ და ეს სტატუსი გაამართლეს კიდეც. პირველ და მეორე პერიოდებში ჩინელებმა ქართველებს 31-31 ქულა ჩაუგდეს, საპასუხოდ კი მხოლოდ 30 მიიღეს და დიდ შესვენებაზე 32-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მეორე ტაიმში ქართველებმა თამაში გამოაკეთეს, მაგრამ, არა იმდენად, რომ ჩამორჩენა შეემცირებინათ. საბოლოოდ ჩინელებმა 38 ქულით იმარჯვეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.

საქართველოს ნაკრებში კახაბერ ჯინჭარაძე და აკაკი დვალიშვილი გამოირჩნენ. პირველმა 19 ქულა ჩააგდო, დვალიშვილმა კი ორმაგი დუბლი – 16 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

საქართველოს ნაკრების წევრებმა ტურნირის დანარჩენ მონაწილეებთან ერთად ქალაქ ჟანჯიაგანგში გადაინაცვლეს, სადაც ანალოგიური კალენდრით კიდევ ერთ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ქართველები დღეს პოლონეთს, ხვალ რუმინეთს, ხოლო ზეგ ჩინეთს დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ბ ნაკრების შემადგენლობა ჩინეთში ასეთია: შვანგირაძე, ბაქრაძე, ჯინჭარაძე, ბოქოლიშვილი, გოგოძე, ჯგერენაია, წივწივაძე, ორმოცაძე, დვალიშვილი, მათიაშვილი, ბექაური

# კაკაბაძე ხიმნასტიკში გადავიდა

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის დინამოს მცველი ოთარ კაკაბაძე ესპანურ საფეხბურთო კლუბ ხიმნასტიკის შემადგენლობაში ითამაშებს.



საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა გასული სეზონი თბილისის დინამოში დაასრულა, კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ესპანურ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

შეგახსენებთ, ხიმნასტიკის შემადგენლობაში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი, გიორგი აბურჯანია თამაშობს.

ხიმნასტიკი ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის კლუბია და გასულ სეზონში ცოტა დააკლდა, ესპანურ პრიმერა დივიზიონში გადასულიყო — ლა ლიგაში გადასვლის შანსი პლეი ოფში გადაეწურა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ჯონი დეპმა სვირინგები შეცვალა



ამერიკელმა მსახიობმა ჯონი დეპმა შეიცვალა სვირინგები, რომლებიც მან თავის დროზე თავის მეუღლეს ემბერ ჰერდს მიუძღვნა და რომელთანაც განქორწინების საქმის მოსმენა აგვისტოში გაიმართება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 53 წლის მსახიობმა თავის მარცხენა ხელზე გაკეთებული წარწერა „დახვეწილი" და რომელიც მეუღლეს აღნიშნავდა, გადააკეთა „ნაძირალად".

ასევე მან გადააღებინა პირსახოცში გახვეული მეუღლის გამოსახულება, რომელიც მარჯვენა ხელზე ჰქონდა ამოსვირინგებული.

შეგახსენებთ, რომ ჰერდმა 31 მაისს საჩივარი შეიტანა ლოს-ანჯელესის პოლიციაში, რომელშიც მეუღლეს ფიზიკური ანგარიშსწორება დასდო ბრალად, შემდეგ კი მან თავად ადგილზე მისული პოლიციელებიც დაადანაშაულა დანაშაულის დაფარვაში, ვინაიდან სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ ჰერდმა მეუღლის მიერ ცემის ფაქტის თაობაზე იცრუა.

# ხელოვანები ნიკოლოზ ჩოხელის გადასარჩენად ერთიანდებიან



— შემოგვიერთდით, ერთად ყველაფერს შევძლებთ! — ასეთია საქველმოქმედო მარათონის დევიზი, რომელიც 9 ივლისს, 20 საათსა და 30 წუთზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გაიმართება.

ქართველი ხელოვანები მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შვილის, 28 წლის ნიკოლოზ ჩოხელის გადასარჩენად ერთიანდებიან. მათი განცხადებით, თავის დროზე ქართველმა საზოგადოებამ გოდერძი ჩოხელის გადარჩენა და გვერდში დგომა ვერ შეძლო, ახლა კი ნიკოლოზის მხარში დგომით ისინი იმ დანაშაულს გამოისყიდიან, რომელიც გოდერძი ჩოხელის წინაშე მიუძღვით.

28 წლის ახალგაზრდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ხევში გადავარდა და უკვე თვეებია, საწოლს არის მიჯაჭვული. ნიკოლოზს სასწრაფოდ ესაჭიროება საზღვარგარეთ მკურნალობა და სარეაბილიტაციო კურსი, რომ გავლა შეძლოს. სოლიდური თანხის შესაგროვებლად ოჯახს ერთი თვე აქვს დარჩენილი.

ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად დაგეგმილ მარათონში მონაწილეობას მიიღებენ დათო ევგენიძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ნოდიკო ტატიშვილი, მაკა ზამბახიძე, ანრი ჯოხაძე, თემურ წიკლაური, გენო ნადირაშვილი და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები.

ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად ჩართულია სპეციალური ნომერიც 0 901 901 940. მასზე დარეკვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

ქართუ ბანკში კი გახსნილია ანგარიში როგორც ლარში, ასევე დოლარსა და ევროში.

# ცხენიდან გადმოვარდნილ ჟოკეის სასწრაფომ გადაუარა



ახალგაზრდა ჩრდილოირლანდიელმა ჟოკეიმ სერიოზული ტრავმები მიიღო იტალიის ქალაქ მერანოს იპოდრომზე გამართული წინაღობებით დოღის დროს. ახალგაზრდა იქ დასასვენებლად იყო ჩასული.

ინციდენტი კვირას მოხდა. შეჯიბრების დროს ცხენმა მხედარი კრის მიხანი უნაგირიდან გადმოაგდო, რის შემდეგაც მას სახეში ფლოქვი ჩასცხო. ახალგაზრდას ცხვირი გაუტყდა და ყბის დაზიანებაც მიიღო.

თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულებულა. სასწრაფო დახმარების მანქანის მომლოდინე მიხანი სარბენი ბილიკის გვერდით იჯდა, რა დროსაც ფეხები წინ ჰქონდა გაშვერილი. როდესაც ექიმები, ბოლოს და ბოლოს, ადგილზე მივიდნენ, სასწრაფოს მძღოლმა მანქანის დროულად გაჩერება ვერ მოასწრო და ახალგაზრდა ჟოკეის ფეხზე გადაუარა. შედეგად მან კიდევ ერთი მოტეხილობა მიიღო.

დაშავებულ ჩრდილოირლანდიელს უახლოეს მომავალში სამშობლოში გადაიყვანენ, სადაც ოპერაცია გაუკეთდება. ექიმების აზრით, მას სახეზე, სულ მცირე, 27 ნაკერის დადება მოუწევს, ხოლო ფეხის აღდგენას ორი თვე მაინც დასჭირდება.

# ქართველი მსახიობი ამერიკის საერთაშორისო ფესტივალზე მოხვდა



ქართველი მსახიობი და მწერალი ნინო ვარსიმაშვილი საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში ამერიკის საერთაშორისო ფესტივალზეა ნომინირებული.

რეჟისორ რატი წითელაძის ფილმი „დედა" ამავე ფესტივალზე ნომინირებულია, როგორც საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ეს ნინო ვარსიმაშვილის მეორე ნომინაციაა ქალის საუკეთესო როლისთვის, „დედა" კი მთელი მსოფლიოს მასშტაბით უკვე 30-ზე მეტ ფესტივალზე იქნა ნაჩვენები, სადაც არაერთი წარმატება და გამარჯვება მოიპოვა.

ფესტივალი ჰოლივუდში საზეიმოდ გაიხსნა და 10 ივლისამდე გაგრძელდება.

# მალტური ბალონკის ვარცხნილობამ ინტერნეტმომხმარებლები მოხიბლა



სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში მცხოვრები მალტური ბალონკა, რომელსაც მრავალფეროვან ვარცხნილობებს უკეთებენ, სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც მისმა პატრონმა მისი ფოტოსურათების განთავსება საკუთარ აკაუნტში დაიწყო.

ძაღლს, სახელად მიხოს, სხვადასხვა ვარცხნილობით, ჩასაცმელებში გამოწყობილსა და აქსესუარებით დამშვენებულს, ფოტოსურათებს ცხოველებისთვის განკუთვნილ ადგილობრივ მაღაზიაში უღებენ.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა უმრავლესობა, რომლებიც ბალონკის პატრონის გვერდის განახლებას თვალს ადევნებს, დადებითად ეხმიანება მიხოს გარეგნულ სახეცვლილებებს, ხოლო მისმა ყველაზე პოპულარულმა სურათმა ორი ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ჩინელი აკრობატები ბათუმში წარმოდგენებს გამართავენ



ჩინელი აკრობატების დასი ბათუმში გრანდიოზულ წარმოდგენას გამართავს. ჩინელი აკრობატები მაყურებლის წინაშე 8 ივლისს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში წარდგებიან.

58 არტისტისგან დაკომპლექტებული დასი მრავალფეროვანი რეპერტუარით წარადგენს ჩინურ კულტურას, მათ შორის აკრობატულ ნომრებს, ჩინურ ცეკვასა და სიმღერას, ასევე კუნგ-ფუს წარმოდგენას.

ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია. ჩინური დასის წარმოდგენები ორ ქვეყანას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ტარდება. **მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# ბეილი მილანში სურთ, პოგბა და კანტე — მადრიდში



როგორც უკვე ცნობილია, იტალიური მილანის აქციების საკონტროლო პაკეტი უკვე შეისყიდა ჩინელ მილიარდერთა ჯგუფმა, რომლებიც „როსონერის" აღორძინებას გეგმავენ.

როგორც ჩანს, იტალიური კლუბის მთავარი მიზანი გარეთ ბეილი იქნება და „შავ-წითლები" მზად არიან, მადრიდის რეალს 205 მილიონი ევრო გადაუხადონ.

მილანურ კლუბში მიიჩნევენ, რომ ხსენებული თანხის სანაცვლოდ, ფლორენტინო პერესი აუცილებლად გაუშვებს უელსელ შეგირდს. იტალიაში ასეთი ფრაზაც ჩამოაყალიბეს – 205 მილიონი და ბეილი მილანელია.

ამასთანავე ვრცელდება ინფორმაცია, რომ „როსონერის" ახალი ხელმძღვანელობა მომავალი ერთი წლის განმავლობაში, ტრანსფერებს 500 მილიონ ევროს მოახმარს.

მადრიდელთა მთავარი სამიზნე კი ტურინის იუვენტუსის ნახევარმცველი პოლ პოგბაა, რომელიც რეალის ორი ფეხბურთელის – კარიმ ბენზემასა და რაფაელ ვარანის მეგობარია. ამასთან, პოგბა რეალის მთავარ მწვრთნელ ზინედინ ზიდანის ფავორიტი ფეხბურთელია.

ფლორენტინო პერესი იუვენტუსთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ესპანელი პრეზიდენტი იტალიურ კლუბს ფეხბურთელის სანაცვლოდ 100 მილიონ ევროს სთავაზობს.

არ არის გამორიცხული, რეალს საფრანგეთის ნაკრების კიდევ ერთი ნახევარმცველი, გასული სეზონის ტრიუმფატორის, ლესტერის ჩამშლელი ნგოლო კანტე შეუერთდეს, რომელთანაც ესპანური კლუბი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ფრანგულ მედიაზე დაყრდნობით, შუახაზელს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე მადრიდში ელიან.

რეალი კანტეს სანაცვლოდ 40 მილიონს იხდის, თავად ფეხბურთელმა კი ლესტერთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი
## 8 ივლისისთვის



**ვერძი** – საკმაოდ არასასიამოვნო დღეა. ფრთხილად იყავით, მოტყუებული არ დარჩეთ. გარშემომყოფებისაგან აგრესიულობა იგრძნობა. **კურო** – ნეგატიური ზეგავლენა აშკარაა. შეცდომის დაშვება, სავარაუდოდ, მოსალოდნელია. **ტყუპები** – სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებთან ურთიერთობისას. ეს დღე პირადი ცხოვრების მოგვარებას დაუთმეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა სწრაფად გეცვლებათ. თავქარიანობა საქმეში ხელს ძალიან შეგიშლით. **ლომი** – პირად ცხოვრებაში სირთულეებს ელოდეთ. არც სამსახურში გაქვთ საქმე მაინცდამაინც აწყობილი. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – დაძაბული და ემოციური დღეა. მოსალოდნელია კამათი და საქმის გარჩევა გარშემომყოფებთან. **სასწორი** – გეგმების განსახორციელებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – რთული დღეა. საქმეების მოგვარებისას დიდ დაბრკოლებებს წააწყდებით. ემოციები მოთოკეთ. **მშვილდოსანი** – მოიგვარეთ პირადი ცხოვრება. ეცადეთ, სულიერ განვითარებაზე იზრუნოთ. საღამოს დაისვენეთ ან საყვარელი საქმე აკეთეთ. **თხის რქა** – საკმაოდ ნეგატიური და დაძაბული დღეა. შესაძლოა, კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ხმას ნუ აუწევთ. **მერწყული** – ჰარმონია და წონასწორობის დაცვა დღის დევიზია. პარტნიორთან ურთიერთობისას მას მეტი სიყვარულით მოეპყარით. **თევზები** – ახალი იდეების რეალიზებისათვის ზედგამოჭრილი დღეა. გარს შემოიკრიბეთ თანამოაზრეები და საქმე ერთიანი ძალისხმევით დაიწყეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ყველაზე გრძელი მდინარე მსოფლიოში; 2. ყირიმის ძველი სახელწოდება; 3. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 4. წინსვლა, აღმავლობა; 8. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 9. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 11. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 12. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 14. უბანი თბილისში; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 17. პოპულარული ზამთრის კურორტი პოლონეთში; 19. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 21. სპორტის ოლიმპიური სახეობა.

**თარაზულად**: 5. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 7. გავლენის სფეროს გაფართოება; 10. ბელგიური ავიაკომპანია; 13. გასართობი თავსატეხი, გამოცანა; 15. ძველებური წონის ერთეული საქართველოში, უდრიდა ოთხ გრამს; 18. ქართველი თეატრალური რეჟისორი მამაკაცი; 20. დეკორატიულ-მხატვრული სტილი დასავლეთ ევროპის არქიტექტურაში; 22. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 23. მარტვილის ძველი სახელწოდება; 24. ჩქაროსნული გზატკეცილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუფონი; 2. სერალი; 3. გორდი; 5. ლამი; 6. ჩელინი; 8. ქიმერა; 11. ფერეიდანი; 13. „ბორჯომი"; 14. კოკაინი; 15. გიენოსი; 19. სურო.

**თარაზულად:** 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი; 7. ფლაიერი; 9. დარიალი; 10. ეფელი; 12. სტეტსონი; 16. კარლსონი; 17. არბიტრი; 18. კალვადოსი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. „გორდონსი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფლუგერი; 2. პალესტრა; 3. დრომადერი; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. „ყოჩები"; 11. ფანდანგო; 12. ბოქსიტი; 13. ფრიზერი; 16. კურლანდია; 17. ხაბელოვი; 19. „აბსოლუტი"; 21. სეული; 22. რკონი.

**თარაზულად:** 6. „ალადასტური"; 7. ბაიდარა; 8. ნეგუსი; 9. დაბახანა; 14. „ბრასკუბა"; 15. ბაქტრიანი; 18. გოგრა; 20. ბახმარო; 22. „პირველი"; 24. ხენდრო; 25. ადმირალი; 26. „ზანავი".



# როგორ ვებრძოლოთ რინიტს



რინიტი დიაგნოსტირდება იმ შემთხვევაში თუ პაციენტს აღენიშნება ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთი ან მეტი ნიშანი: ცემინება, ცხვირიდან ჩამონადენი, ცხვირის გაჭედვა, ცხვირის ქავილი.

რინიტი შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული. ზოგჯერ რინიტს თან ახლავს ცხვირის დანამატი ღრუების ანთებაც (რინუსინუსიტი).

განასხვავებენ ალერგიულ და არაალერგიულ რინიტებს.

**ალერგიული რინიტი** გვხვდება 10-30% მოზრდილებში და 40% ბავშვებში. ალერგიული რინიტი შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ ასაკში. იგი შეიძლება იყოს სეზონური ან პერინეალური, ანუ მთელი წლის განმავლობაში. ასევე შეიძლება იყოს ეპიზოდური და პერსისტიული (მუდმივი). შემთხვევათა 70%-ში პარალელურად აღინიშნება ალერგიული კონიუნქტივიტიც, რომელიც ხასიათდება წითელი, გაღიზიანებული თვალებით, ქავილით.

სეზონურ ალერგიულ რინიტს ხშირად იწვევს ალერგია ხეების, ბალახების, სარეველების მტვერსა და ობის სოკოებზე. სახლშიდა ალერგენებიდან რინიტის გამომწვევებია ოთახის მტვრის ტკიპა, ტარაკანი, ცხოველთა პროტეინები, ობის სოკოები. სახლშიდა ალერგენები რინიტს განაპირობებენ მთელი წლის განმავლობაში.

• • •

**არაალერგიული რინიტები გამომწვევი მიზეზის მიხედვით შეიძლება იყოს:** იმუნოლოგიური, ინფექციური, ფარმაკოლოგიური, სტრუქტურული, ჰორმონალური, ვასკულიტური, მეტაბოლიტური, ატროფიული, ვაზომოტორული.

არაალერგიულ რინიტს არ ახასიათებს ცხვირისა და თვალების ქავილი, იწყება მოგვიანებით ასაკში და ხასიათდება ძლიერი ცხვირის გაჭედვით და სიმპტომების მუდმივობით. მისი ტიპიური გამამწვავებელი ფაქტორებია სიგარეტის წევა, მანქანების გამონაბოლქვი, ტემპერატურის ცვლილებები, მძაფრი სუნები, კოსმეტიკა, ქიმიური გამწმენდი საშუალებები, ალკოჰოლური დანამატები, გაზეთები. მაგალითად, ვაზომოტორულ რინიტს ამწვავებს ჰაერის დაბინძურება, ტემპერატურული რეჟიმების ცვლილება, ცივი მშრალი ჰაერი.

გემოვნებითი რინიტი ვითარდება ეპიზოდურად უპირატესად ცხელი, მძიმე გემოვნებითი დანამატებიანი საკვების მიღებისას. ხშირად ალერგიული და არაალერგიული რინიტები გვხვდება კომბინაციაში ერთდროულად. არსებობს პროფესიული რინიტებიც, როცა რინიტის გამომწვევად გვევლინება სამსახურში არსებული ქიმიური ნივთიერებები.

წამლისმიერ რინიტს იწვევს სხვადასხვა მედიკამენტების უკონტროლო გამოყენება. ასეთ დროს ლორწოვანის აღდგენას შეიძლება დასჭირდეს წელიწადი და მეტი, ამიტომ ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, ნაზალური დეკონგესტანტები არ უნდა იქნას გამოყენებული ხუთ დღეზე მეტი.

არაალერგიული რინიტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ცხვირის გასავალების სტრუქტურული დარღვევები: ადენოიდები, უცხო სხეული, ჩირქოვანი ნადები, პოლიპები და სხვა.

არსებობს ორსულთა რინიტიც, რომელიც უხშირესად ვითარდება ფეხმძიმობის მეექვსე თვის შემდეგ და მშობიარობიდან 2 კვირაში გაივლის .ატროფიული რინიტი დამახასიათებელია მოხუცთა ასაკისათვის.

იმისათვის რომ ჩატარდეს ქრონიკული რინიტის სწორი და ეფექტური მკურნალობა, საჭიროა დასმულ იქნას სწორი დიაგნოზი, გამოვლენილ იქნას რინიტის გამომწვევი მიზეზები და თანმხლები დაავადებები.

იმ შემთხვევაში, თუ გაციების პირველივე სიმპტომებისას მიაქცევთ ყურადღებას საკუთარ თავს და გაითვალისწინებთ ხალხურ რჩევებს გაციების სამკურნალოდ, მალევე დაუბრუნდებით ჩვეულ ფორმას:

1. თერმოსში ჩაყარეთ 100 გრამი ასკილი და გააჩერეთ 5 საათს. მოადუღეთ მაგარი ყავა, შეურიეთ ასკილის ნაყენს, ჩაუმატეთ შტოშის და ჟოლოს რამოდენიმე კენკრა, 2-3 ჩაის კოვზი რომელიმე ხილის ლიქიორი (უკიდურესს შემთხვევაში შეიძლება შაქრის ჩამატება). დაუმატეთ ლიმონის თხელი ნაჭერი და დალიეთ ერთი დღის განმავლობაში.

2. თანაბრად შეურიეთ ერთმანეთს გვირილის ყვავილი, ასკილი, ლიმონის ქერქი, მტირალა ტირიფის, ცაცხვის ყვავილი დაასხით ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ათ წუთი. მიიღეთ დღის განმავლობაში სამ ნაწილად, თბილ-თბილი, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

3. დღეში რამდენჯერმე მიიღეთ ასკილის ნაყოფის, ცაცხვის ყვავილის ჩაი ჟოლოს მურაბით. საკვებში გამოიყენეთ ხახვი, ნიორი ცე ვიტამინით მდიდარი ხილი – ფორთოხალი, ლიმონი.

# როგორ გამოვკვებოთ ტვინი



**ტვინი მუდმივად უნდა იკვებოს, ვინაიდან მისი უჯრედები გამუდმებით ითხოვენ საჭირო ენერგიას. ტვინისა და ნერვული უჯრედების კვება პირდაპირ დამოკიდებულებაშია ჩვენ მიერ მიღებულ საკვებზე. ფსიქოემოციური წონასწორობა, რომელიც მიიღწევა სწორად შერჩეული და იმავდროულად გემრიელი საკვებით, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა არა მარტო შემოქმედებითი საქმიანობისთვის, არამედ ორგანიზმის ყოველგვარი უძრაობის პროფილაქტიკისთვის.**

სწორი კვება გვეხმარება ასევე შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერებაშიც. ჩვეულებრივი პროდუქტების საშუალებით შესაძლებელია არა მარტო ფიზიკური, არამედ გონებრივი ფორმის შენარჩუნებაც.

რითი უნდა ვიკვებოთ რომ ვუზრუნველყოთ ტვინის სწორი კვების რაციონი?

**შოკოლადი** – ის ძალიან მნიშვნელოვანია ტვინის გამართული მუშაობისათვის.

**ლეღვი** – რეკომენდირებულია მისი რეგულარულად მიღება.

**კვლიავი** – ის ძალიან მნიშვნელოვანია ტვინის სწორი ფუნქციონირებისათვის, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ შაქრის მაგივრად ჩაის კვლიავს მიაყოლებთ.

**დღეში ორი ბანანი** – გაგიხსნით გონებას და განწყობილებასაც აგიმაღლებთ.

მარწყვი – ოპტიმისტურ განწყობას დაგიბრუნებთ.

ერთი თეფში გახეხილი, ზეთმოსხმული **სტაფილოს სალათა** და **ანანასის** ახალგამოწურული წვენი დაგეხმარებათ დიდი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრებაში, ხოლო ხანმოკლე მეხსიერების გასაუმჯობესებლად შეუდარებელია ყოველდღიურად ნახევარი ავოკადოს მირთმევა.

დღეში 100 გ **კრევეტი** და ნახევარი თავი **ხახვი** აუმჯობესებს ყურადღების კონცენტრაციას, ხოლო გონებრივი შტურმის დაწყებისას შეგიძლიათ დალიოთ ყავა, ლიმონის წვენი ან მიირთვათ ერთი პეშვი მოცვი.

**ხმელთაშუა ზღვის დიეტა** – ეს არის დიეტა, რომელსაც ნევროლოგები უწევენ რეკომენდაციას, და რომელიც მოიცავს დიდი რაოდენობით ახალ ხილსა და ბოსტნეულს, ზეითუნის ზეთს, თევზს, ზღვის პროდუქტებს, მცირე რაოდენობით ხორცს და კიდევ უფრო ნაკლებ საკონდიტრო ნაწარმს.

**რძის ნაწარმიდან** ყველას უცხიმო იოგურტი, მაწონი, ნაკლებცხიმიანი ყველი, კეფირი სჯობია. ხმელთაშუა ზღვის დიეტის საფუძველია ცხიმიანი თევზი, ნიგოზი, ზეითუნის ზეთი და ახალი ბოსტნეული. ცხიმიანი თევზი მდიდარია ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავებით, რომლებიც აძლიერებს ტვინის კოგნიტურ თვისებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის გამოაცოცხლებს ჩვენს ტვინს

**წითელი ღვინო** – ცნობილია იმით, რომ ზომიერი მოხმარებისას ახდენს სისხლძარღვოვანი დარღვევების პრევენციას. ყურძენი შეიცავს რესვერატროლს, რომლის კონცენტრაცია საგრძნობლად იზრდება ფერმენტაციის პროცესში. ის ძლიერი ანტიოქსიდანტია, რომლის დადებითი მოქმედება დამტკიცებულია მრავალი კვლევით. ეს ნივთიერება ააქტიურებს ცილა ჰემოქსიდაზას, რომელიც თავისუფალი რადიკალებისგან იცავს ტვინის უჯრედებს. თუმცა პროფილაქტიკისთვის ყოველგვარი ღვინო როდი გამოდგება. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ღვინო ალკოჰოლური სასმელია, ამიტომ მისი მიღების თაობაზე ექიმს უნდა შევუთანხმდეთ. თუ უკუჩვენება არ აღმოგვაჩნდა, შეგვიძლია, თამამად ვსვათ დღეში ერთი ბოკალი.

**ბოსტნეული** – ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტვინის სწორ ფუნქციონირებაში. ის სხვა ნივთიერებებთან ერთად შეიცავს ანტიოქსიდანტებს, მაგნიუმსა და სელენს – ტვინისთვის აუცილებელ ელემენტებს.

ტვინისათვის აუცილებელი ნივთირება – **ომეგა-3** შედის ნიგოზის, სელის თესლისა და ზეითუნის ზეთის შემადგენლობაში. უჯერი ცხიმები აფერხებს ანთებით პროცესებს. ამრიგად, რაც უფრო ხშირად გავანებივრებთ ტვინს ამ ცხიმებით, მით უფრო აქტიურად იმუშავებს ის.

**ლობიო, შავი მოცხარი, არტიშოკი, ბროკოლი, წიწაკა, მარწყვი, ყვავილოვანი კომბოსტო** – ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობის ანტიოქსიდანტებს, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზმის ყველაზე დინამიკურ ორგანოს.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## მკურნალი მცენარე



**ძირთეთრა** ორ ან მრავალწლოვანი ბალახია. ნაყოფი თესლურაა. ევროპასა და აზიაში ცნობილია 15 სახეობა. კავკასიაში გვხვდება 5-იოდე ველური სახეობა და ერთიც – კულტურული. კულტურული სათესი ძირთეთრა ორწლოვანი მცენარეა, აქვს ძლიერ განკვეთილი, გაყოფილფრთისებრი, მწვანე ფოთლები.

ყინვაგამძლე მცენარეა. საქართველოში კარგად ზამთრობს მინდორში. ძირხვენა ხორციანია, მოყვითალო-თეთრი. შეიცავს 17,5-18,7% მშრალ ნივთიერებებს, მათ შორის, 8,6-10% შაქარს (ამის გამო საქართველოში ძირთეთრას უმართებულოდ ძირტკბილას უწოდებენ, რომელიც სულ სხვა მცენარეა). ძირხვენა აგრეთვე შეიცავს ცე ვიტამინს (40 მგ%) და სხვა ნივთიერებებს. იყენებენ კულინარიაში. სსრკ-ში მოჰყავდათ საკონსერვო მრეწველობის ზონებში. ცნობილი ჯიშები იყო „კრუგლი“ და „სტუდენტი“.

• • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • •




**შროშანას** თეთრი, ზარისებრი, სურნელოვანი ყვავილები და წითელი კენკრა ნაყოფი აქვს. საქართველოში მთის შუა სარტყლამდე, ტყეებსა და ბუჩქნარებში იზრდება. აღნიშნული სახეობა შხამიანია.

ყვავილი და ფოთოლი შეიცავს გლიკოზიდებს – ძირითადად კონვალატოქსინს და კონვალაზიდს, რომლებსაც გულის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებენ. მედიცინაში იხმარება ყვავილებისაგან გამოხდილი ეთეროვანი ზეთიც. შროშანა დეკორატიული მცენარეა.

## სასარგებლოა, იცოდეთ

ცნობილია, რომ ბანანის ქერქი ბუნებრივ შაქარს შეიცავს. ფრუქტოზის და გლუკოზის დახმარებით ორგანიზმს ენერგია ემატება.ამხოლოდ ენერგიის მომატება შეუძლია, არამედ კანზე დადებითად მოქმედებს.



გარდა ნაყოფისა ქერქიც ძალიან სასარგებლოა, ექიმების თქმით თუ ბანანის ქერქს მეჭეჭზე დაიდებთ მის გაქრობაში ძალიან დაგეხმარებათ. ამისთვის საჭიროა პროცედურა ყოველ დღე, ძილის წინ ჩაიტაროთ. დაიდეთ ქერქი 1 საათის განმავლობაში და ეს იმდენი დღის განმავლობაში გააკეთეთ ვიდრე მეჭეჭი არ გაქრება.

## TV პროგრამა

### პარასკევი 8 ივლისი

07.30 დ/ფ "არქიტექტურა" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლეXX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" 19.00 "კომუნიკატორი" 20.50 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.30 მხ/ფ "**ორპირობა**" (ქ. ოუენი) 23.30 მხ/ფ "**სოლისტი**" (რ. დაუნი უმცროსი) 01.40 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 02.10 "ხანმოკლე XX საუკუნე" 02.40 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 14.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**ჟუჟონები**" 5 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 01.30 მხ/ფ "**თავშესაფარი**" 03.20 მხ/ფ "**საუკეთესო" რაც კი ჩემშია**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები"- მეამბოხეები 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 03.30 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**". 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 00.00 სერ. "**საშინელი ზღაპრები**". 01.30 მხ/ფ "**კერკეტი კაკალი 2**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 მოკ. მხ/ფ 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.00 ღვთის სახლი 17.15 მიწათმოქმედი "ნიადაგი და თესლი" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "ხინოწმინდა" 20.30 ამბიონი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ყოველი სამშვილდე– ციხე ორბისა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დიდ ხარ შენ უფალო 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00, 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 2.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 3.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ქალბატონი**" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.35 სერ. "**სტანიცა**" 23.30 მხ/ფ "**სანელებლების პრინცესა**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

8 ივლისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3194 |
| ევრო | 2.5671 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0113 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5811 |

**ამინდის პროგნოზი 8 ივლისისთვის**





## 5 ივლისიდან



ალექსანდრე დიუმა

**დედოფალი მარგო**

მთელი რომანი ერთ წიგნში

მაგარი ყდა, 662 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## იუმორი



ავადმყოფი ექიმს ემუდარება:

– ექიმო, დამეხმარეთ! ნებისმიერ თანხას გადავიხდი!

– კარგით... მაგრამ ფული წინასწარ, თორემ სულ ასეა, დაეხმარები ადამიანს, ის კი წევს კუბოში ისეთი სახით, თითქოს ველარ მცნობს.

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ცხოველები გიყვარს?

– კი, ძალიან.

– მერე, წამიყვანე შენთან, ნამდვილი საქონელი ვარ!

•••

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:

– დოლარებს იღებთ?

– დიახ.

– საკრედიტო ბარათებს?

– დიახ.

– ბოთლებს?

•••

პოლიციელი ავტომობილის მძღოლს ეუბნება:

– აქ გაჩერება არ შეიძლება, სამთავრობო დაწესებულებაა და აქაურობა დეპუტატებითაა სავსე.

– არა უშავს, მანქანაზე კარგი სიგნალიზაცია მიყენია.

•••

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

– აბა, რა შეიძლება იყოს, გზის პირას ნაცრისფერი რომ დგას? აბა ლანა, შენ მიპასუხე.

– ბეტონის კედელი.

– სწორია, მაგრამ ის ასევე შეიძლება იყოს სახედარიც. კიდევ ერთი შეკითხვა: მინდორში რა შეიძლება იყოს დიდი და ყავისფერი?

– ძროხა, – პასუხობს ერთ-ერთი მოსწავლე.

– სწორია, ლაშა, მაგრამ ეს ასევე შეიძლება იყოს ძველი, დარჩენილი თივის ზვინი.

ამ დროს ბოლო მერხზე მჯდომი გოგი წამოიძახებს:

– ან განავლის გროვა.

– გოგი, ყოველთვის სისულელეს უნდა ამბობდე?!

– მასწავლებელო, შეიძლება, ერთ შეკითხვას მეც დაგისვამთ?

– მკითხე.

– რა შეიძლება იყოს, სანამ ჩაიდებ, ის მაგარი, მშრალი და სწორია, ხოლო რომ გამოიღებ, რბილი, სველი და მოშვებული?

– ახლავე გაეთრიე გარეთ, თავხედო!

– სწორია, მაგრამ ის ასევე შეიძლება საღეჭი რეზინი იყოს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 6 ივლისიდან

ვლადიმერ ნაბოკოვი

**ლოლიტა**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 7 ივლისიდან




**გაბრიელ გარსია მარკესი**

**გენერალი თავის ლაბირინთში**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 8 ივლისიდან



ლიზიკო ქავთარაძე

**28 წელი გულაგში**

არაადამიანური სისასტიკითაა დაღდასმული ცხოვრება, რომელზეც წიგნის ავტორი, 28 წლის განმავლობაში საბჭოთა გულაგში ნატანჯი ქართველი ქალი მოგვითხრობს.

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნში ბევრი რეპრესირებული ადამიანის სახელსა და გვარს ამოიკითხავთ. უთუოდ დაგაინტერესებთ ავტორის ხედვა და ანალიზი საბჭოთა პერიოდისა.

**წიგნისა და გაზეთის ფასი 9 ლარი**


## მარტინ შკრტელი თითქმის ფენერბახჩეს ფეხბურთელია



ლივერპულის სლოვაკი ცენტრალური მცველი მარტინ შკრტელი თურქულ ფენერბახჩეში გადასვლასთან ახლოს არის.

ფენერბახჩეს წარმომადგენლებმა დაადასტურეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი შკრტელთან მოლაპარაკებას აწარმოებენ და მას პირადი კონტრაქტის დეტალებზე თითქმის შეუთანხმდნენ კიდეც. თურქული კლუბი ამ ტრანსფერში, სავარაუდოდ, 6 მილიონ ევროს გადაიხდის და ლივერპული ამ თანხაზე ყაბულს არის.

შკრტელი ლივერპულში 2008 წელს გადავიდა და მას შემდეგ ინგლისური გუნდის მაისურით უამრავი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა იურგენ კლოპის მისვლის შემდეგ შკრტელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და იძულებული გახდა, ახალი კლუბი მოეძებნა.

## ჯორდან აიბი ბორნმუტში გადადის



ლივერპულის ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი ჯორდან აიბი შესაძლოა ბორნმუტში აღმოჩნდეს. ლივერპული მზად არის, აიბს 15 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეელიოს.

თვითონ ფეხბურთელიც არ არის ამის წინააღმდეგი, რადგან გასული სეზონის მეორე ნახევარში ის იშვიათად ხვდებოდა ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში.

გარდა ამისა, ლივერპულმა საუთჰემპტონის ფორვარდი სადიო მანე იყიდა და მისი მოსვლის შემდეგ აიბს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსები კიდევ უფრო შეუმცირდება.

ჯორდან აიბი მხოლოდ 20 წლის არის და ინგლისში პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

## კლარენს ზეედორფი ჩინური გუნდის მწვრთნელი გახდა



ჰოლანდიელმა ლეგენდამ კლარენს ზეედორფმა თავისი სამწვრთნელო კარიერა განაახლა. ზეედორფის ბოლო გუნდი მილანი იყო, საიდანაც ის 2014 წელს არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს. ამჯერად ზეედორფი ჩინეთში იმუშავებს, სადაც ადგილობრივი შენჩჟენის მთავარი მწვრთნელი გახდა.

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ჩინურ გუნდთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო მისი ანაზღაურების შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კრიშტიანო რონალდუ ფინალში გასვლით ბედნიერია

პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში უელსის დამარცხება შეძლო და ფინალში გავიდა. 2004 წლის შემდეგ პორტუგალიამ პირველად შეძლო მსგავსი მასშტაბის ტურნირზე ასეთი წარმატების მიღწევა.

კრიშტიანო რონალდუმ უელსთან ლამაზი გოლი გაიტანა, რამდენიმე წუთში კი საგოლე გადაცემის გაკეთებაც შეძლო.

მატჩის შემდეგ კრიშტიანო სიხარულს არ მალავდა, რადგან ის ოცნების ასრულებასთან ახლოს არის. რონალდუს თქმით, ის ყოველთვის ოცნებობდა, რომ პორტუგალიის ნაკრებთან ერთად რაიმე ტურნირი მოეგო და ამისთვის ერთ შეხვედრაში გამარჯვებაღაა საჭირო.



## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. ცხვირის ღრუს ანთება; 3. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 5. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 11. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 14. საათის მექანიზმი; 15. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 19. სამკითხაო ბანქო.

**თარაზულად**: 1. ფერთა სიუხვე, მრავალფეროვნება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი იერუსალიმის მახლობლად; 7. სამშობიარო სახლის ძველებური სახელწოდება; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 12. ჩინური ნავთობკომპანია; 16. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 18. მუზეუმში გამოფენილი საგანი; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. უნივერსიტეტი ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

